



# მ რ ი

№ 15

პოლიტიკური ვითარება; — „ფლექები“ — შ. არა-  
გვისპირელასა; ბუდი მკაცრისა. — შანშიაშვი-  
ლისა; ლექსი — ი. მჭედლიშვილისა; ლიტერატურულ  
საღამოს შესახებ — მოუდრეკელისა; ლექსი —  
ვადულიშვილისა; ნუცაფ-ხანი — ივ. ბუ-  
ქურაულისა; მთავრე მიმხინჯვას ქართულ მწერ-  
ლობისა — ივ. ვართაგვაგასი,

კვირა, 16 მაისი საზოგადოებრივი, სასაქონლო და სალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.

## პოლიტიკური ვითარება

რუსეთის ცხოვრება თანდათან განსაზღვრულ სახეს იღებს, თანდათან ირკვევა, ყალიბდება ის საზოგადოებრივი საკითხები, რომელთა გარეშე მოხანგრძლივი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდება ვეებერთელა რუსეთის იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში სცხოვრობს გარდაეგრედ წოდებულ ველიკოროსთა ბევრი სხვა ერი, მათში რამდენიმე თავისი ფრიად ძლიერი ისტორიის და შესამჩნევ კულტურის მქონე ხალხი, რუსეთის სახელმწიფო საჭეს მმართველნი დღესაც იმ აზრისანი არიან, რომ რუსულ სახელმწიფოებრივ დასაბამის მატარებელნი მხოლოდ ველიკოროსები არიან. ამ აზრის მიმდევარნი რეალურადაც ახორციელებენ თავის პრინციპს. ხოლო მისი განხორციელება ნიშნავს ყველა სხვა ერების ისეთ ჭახრაკში ჩაყენებას, რომ ყოველ წუთში მათი გაქეპყა და მოსპობა შეიძლება. ვერ ვიტყვი, რომ რუსეთის მთავრობამ ამ გზაზე ვერავითარ ნაყოფს ვერ მიაღწიაო. ბევრ ერს ისე შეუხუთა სული, რომ მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა, ბევრ ერში ხელოვნურად გადაავარა ეგრედ წოდებული ინტელიგენცია და მითი შექმნა მასალა თავის პოლიტიკურ იდეალების გასანაღლებლად, მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც საკმაოდ ძლიერად ბევრ ხალხში გაიფურჩქნა ეგრედ წოდებული სოციალისტური ცენტრალიზმი, რომელიც იგივე ბიუროკრატიულ დესპოტიზმის თეორიული შვილია. ამნაირად სახელმწიფოება და რუსობა ერთ მნიშვნელოვან მცნებად იქმნა აღსარებული, ყველა არა რუსნი გამოდგნენ უღირსი გერები, რომელთაც სხვა და სხვა საბელი ყელში წაუჭირეს და ნელ-ნელა ახრჩობენ. არ დარჩენილა არც ერთი მხარე საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომე-

ლიც ამ მიზნის განსახორციელებლად არ გამოეყენებიათ: სასამართლო, სკოლა, ეკლესია, საზოგადოებრივი დაწესებულებანი — სულ ყველა ერთი და იგივე მიზნით ამოძრავებელ იქმნა, რათა რაც შეიძლება მსწრაფლად განხორციელებულიყო საწადელი მიზანი. მაგრამ აქ იგივე მოვლენა იჩენს თავს, რაც კერძო კაცის ცხოვრებაში. ტყუილად კი არ სდევს თან ჯალათს ხალხის სიძულვილი და ზიზღი. ზნეობრივად სუსტდება, ლაჩრდება, ირყენება, შემოქმედებას ჰკარგავს არა მარტო ის, ვისაც ახრჩობთ, არამედ ისიც, ვინც ამ დახრჩობაში მონაწილეობას იღებს, სახელმწიფოში შეუძლებელია ერთს მიანიჭოთ თავისუფლება და მეორეს დაუხშოთ. აქ შესაძლებელია ან მოქალაქობრივი თავისუფლება, ან მოქალაქობრივი უსწორ-მასწორობა და მისი დამცველი დესპოტიზმი. სადაც თავისუფალი მოქმედება არ არსებობს, სადაც დამონებულ ერს პატივისცემა არ აქვს, სადაც ყოველ გზით შეურაცხყოფენ თქვენ ეროვნულ გრძნობას, იქ სახელმწიფოებრიობა ვერას დროს ვერ ამაღლდება, და მართლაც, რუსეთში ზნეობრივად არავის მიაჩნია დასაძრახისად, თუ მაგ., მიითვისებთ სახელმწიფოს ქონებას. დღეს სენატორების რევიზიაა გაჩაღებული რუსეთში. რას ვხედავთ? არაა ისეთი დარგი სახელმწიფოებრივ გამგეობისა, სადაც ქურდობა, მტაცებლობა და მექრთამეობა არ ბუდობდეს. ცხადია, ვისაც წააწყდებიან, დასჯიან, და ასეც იქნება მანამდის, სანამ ძალმომრეობა, განუსაზღვრელი ძალმომრეობა იქნება სახელმძღვანელო დევიზი შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებისა. აქ კერძო პირების დასჯა და დევნა ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანს. მექრთამეს და მცარცველს შობს თვით სისტემა, სული გამგებლობისა. და სანამ ეს სული, ეს სისტემა ძველებურია, მანამდის ბოროტმოქმედებაც მას თან სდევს, როგორც მისი კანონიერი შვილი. ხოლო ხალხის თავისუფლების შეზღუდვა, შემოქმედების



დახშვა ერთის მხრით, მეორეს მხრით მოხელეთა თავისუფალი და დაუსჯელი პარპაში, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობს სახელმწიფოს გაძლიერებას, მის კულტურულ ზრდას.

ამნაირად პოლიტიკური მისწრაფება, დამონებული ერების წინააღმდეგ მიმართული, აუცილებლივ ჰქმნის სისტემას საერთო შევიწროებისა, სადაც გაბატონებული ერთი ფრთას ვერ ჰშლის.

დღეს რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებულად ნიშანში ამოიღეს ორი ფრიად კულტუროსანი ევროპიელი ერი. ერთია ფინლანდია, რომელიც ასი წლის შედარებით შინაურმა თავისუფლებამ უმაღლეს წერტილამდე განავითარა, მაგრამ დღეს ამ თავისუფლებას ემუქრებიან და ჰსურთ ფინლანდიის სახელმწიფოებრივი ავტონომია ვაიკონენის გუბერნიის ერობის ბადალად ჩამოიყვანონ. მეორე კულტუროსანი და ფრიად ძლიერი ერი პოლონეთია. პოლონელები 1796 წლიდან მეტად კულდ მდგომარეობაში ჩავარდნენ პოლიტიკურად:

პოლონეთის ტერიტორია სამმა სახელმწიფომ დაინაწილა—ავსტრიამ, გერმანიამ და რუსეთმა. გაჩაღდა საოცარი ბრძოლა. გერმანიაში ყოველ ჰომებს მიმართეს, გაჩნდნენ ეგრედ წოდებული გაკატისტები, რომელნიც აშკარად, დაურიდებლად შეეცადნენ პოლონელების დაცემას, მათ მამულების ხელში ჩაგდებას; პრუსიის სახელმწიფოც ყოველივე ღონეს ღონობს, რომ პოლონელები დაასუსტოს. ახლა რუსეთზედაც მიდგა ჯერი. რასაც აქამდის რუსეთის ბიუროკრატია ნიღაბ-აფარებული აწარმოებდა პოლონეთის წინააღმდეგ, ეხლა სცდილობს სათათბიროს შემწვობით ეს დააკანონოს. სცდილობს და კიდევ საწადელს მიალწვეს.. მაგრამ განა კულტურით ძლიერ, შეგნებით მაღალთ, თავმოყვარე ფინლანდიელს და პოლონელს შეაშინებს მათზე მიტანილი იერიში და წელში გასტეხს მათ?! პირიქით. აკი პოლონელი დეპუტატი პარჩევსკი პირდაპირ ეუბნება მთავრობას: შემზღუდველ კანონებით ვერ შეგვაშინებთო!..



# ღ ლ ღ ლ ე ბ ი\*)

ქართული თქულობა

I

უზარ-მაზარ კავკასიონის ერთ მთის კალთაზე წამოკუპებულია პატარა—სულ ათიოდ კომლიანი სოფელი ბედობი, რომელსაც ხეობიდან ვერც კი შეამჩნევ, თუ მთიდან არ დაჰხედვ. ისეა მიმაღლული ტყეში.

აი, სწორედ ამ სოფლის მკვიდრი იყო ღვთისო. სცხოვრობდა ბედნიერად ალალი ლუკით და ცას ეწეოდა, როდესაც კი საღამოთი თავის ქობში იჯდა და გარს ეხვია შინაურობა: ცოლი და ორი პატარა ქალ-ვაჟი გვერდით ესხდნენ და მხიარულად ცხელ ხშიადს ერბოში აწებებდნენ, ბროლა და ციცა იქავე სუფრასთან ახლოს თვალის ციმციმით ტოკავდნენ და სლუკუნ-ქნაოდნენ; პატარა მომორებით კიდევ რამდენიმე ქათმის დროგამოშვებით ქრული და შრიალი მოისმოდა, და ამავე დროს იქიდგანვე ძროხის ფილოსოფიური ფშმუილი... ისე ღრმად ამოიფშმუილებდა ხოლმე, თითქოს მსოფლიოს ბედი იმის კისერზედ იყოს დაკიდებული, და სულ იმის ფიქრში იყოს, თუ როგორ უვნებლად დაღუნოს საძილედ მომზადებული თავი...

უმაღლეს ბედნიერებას ჰგრძნობდა ღვთისო, როდესაც ყველანი მიწვებოდნენ და თავის ოდნავ სუნთქვას მთელი ოჯახის სუნთქვა-ხმაურობას შეუერთებდა... აქ თავისებური ოჯახური კმაყოფილება გამოისმოდა ნაზად-ტკბილად...


II.

ყოველ გაზაფხულს მოხერხებულ ვაქარს ცხენით ერთი ხურჯინი კალოს მსხალი ამოჰქონდა ბედობში და პირისპირ — ერთ წყეთ—ჰსცვლიდა ერბოში: ერთ ჯამ ერბოში—ერთ ჯამ მსხალს აძლევდა. თუ ერბოიანი ჯამი სილად იყო, ჯამს მსხლით სილადვე უვსებდა, და თუ თავშებებული, თავს მოუბავდა მსხლითაც. ამით ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა. უხილო ბედობი ხილს იგემებდა. ხურჯინი სწრაფად იცლებოდა. სამაგიეროდ ორი პატარა ერბოთი გატენილი გუდა ხურჯინის ორ თვალს სტენიდა. გულებიც და იქ ვაქარის სმა-ქამა ხომ სულ მუქთი იყო.

ბედობელები დიდი მადლობელი იყვნენ ვაქარისა, რომ ამ უხილო სოფელში ხილი ამოჰქონდა და ასე აბედნიერებდა იმათ, და აბა, იმისთვის რას დაიშურებდნენ ბედობელები!

\*) ოღალს ერთგვარ ფრინველს ეძახიან მთაში.





როცა ბავშვები დაუჩიოდნენ ღვთისოს, იმ ზაფხულსაც ესტუმრა კეთილას მყოფელი ვაჭარი ბარიდგან, ერთი ხურჯინი კალოს მსხლით. აბა, მაშინვე მთელი სოფელი დიდ-პატარაიანად და ოთხფეხიანად გარს შემოეხვია ვაჭარს და ჯამი-ჯამზე გადადიოდა. ღვთისო რაღას ჩამოპრჩებოდა. იმანაც ერბოთი სავსე ჯამი ჩაუცალა და მსხლით აავსებინა. ჩიტო და ბელურა (იმის ქალ-ვაჟის სახელები) გვერდით ჰყვანდნენ. დაინახეს თუ არა ჩიტომ და ბელურამ მამის ხელში მსხლით სავსე ჯამი, მაშინვე ერთად წამოიძახეს, თითქოს მოლაპარაკებული იყვნენო: „მამავ, **ოლ-ოლი** მოგვეცი“!.. ჯერ ენა გაუტეხელი ჰქონდათ ჩვილებს და „რ“-ს მაგივრად „ლ“-ს ამბობდნენ.

ღვთისო ღიმილით ჯამს მალლა სწევდა და მიეშურებოდა ცოლისაკენ, რომელიც მწვანე მოლზე დამჯდარიყო, და ისიც ბავშვებზე მოუთმენლად ელოდა ქმარს. ბავშვები მისდევდნენ უკან ყვირილით: «**ოლ-ოლი**» და მამასთან ერთად დედის გვერდით ჩაიჩოქეს.

— **ოლ-ოლი**, მამავ, **ოლ-ოლი**!.. ყვიროდნენ ბავშვები.

ღვთისო კმაყოფილებით იღიმებოდა და ჯამს მალლა ჰსწევდა და აშორებდა ბავშვების თათებს.

— რაისლა ჰსტანჯავ ბედ-შავთ, ჩემო ყველავე, ღიმილითვე შეევედრა ფათა ქმარს...

— აი, თქვე, **ოლოლებო**, თქვენა!.. **ოლოლებს** ორ-ორზე მეტს არ მოგცემ!.. სიცილით უთხრა მამამ.

— იქნება მეტი გინდათ?! ღვთისო მაშინვე შეეკითხა.

— ალა, მამავ, **ოლ-ოლი**!..

— მაშ **ოლოლებო**, აჰა, **ოლოლი**!.. სთქვა ღიმილით და ორ-ორი მსხალი მისცა ბავშვებს.

მეტი არ ერგებოდათ, რადგანაც ცოლმა და ქმარმაც ორ-ორი აიღო.

იქ ახლოს სხვებიც იდგნენ და ეს ბაასი ესმოდათ. ჩიტოს და ბელურას **ოლოლი** დაერქვათ. დედ-მამაც აღერსით „**ოლოლებს**“ ეძახდნენ და მეზობლებიც იმავე კილოთი, ჩიტოს და ბელურას, როდინახავდნენ ერთად მოსიარულეს (ყოველთვის ერთად დადიოდნენ), იძახდნენ: აგერ **ოლოლები** მოდიანო!..

### III.

ეს ამბავი მკათათვის გასულს მოხდა. მარიამობისთვის ნახევარში კი ღვთისოს ცუდი დღე დაატყდა. ცოლი ავად გაუხდა და მერე, რა ავად?! სულ მთლად გაიმჭვალა და თონესავით გაეარვარდა. საცოდავი ძლივს-ლა ჰსუნთქავდა. გონება დრო და დრო თუ მოუვიდოდა, თორემ სულ ჰბოდავდა. ბოდვაში სულ „**ოლოლებს**“ ახსენებდა...

და გონს როცა მოვიდოდა, მაშინაც ღვთისოს იმათ ამუდარებდა...

ჯერ ისევ პირველი შეღამება იყო, როდესაც ღვთისოს დღის მუშაობით მოქანცული უეცრივ დროა ძილს მიეცა.

ღვთისო დამძარებული ცოლის გვერდით ზის და მწარედ უსაყვედურებს უსიტყვოდ ცოლს და ბედს: „რაი დაგემართა, ჩემო ყველავე?! პირველია თუ შენი წისქვილში წასვლა“?!

მართლაც ფათასთვის წისქვილში გუდით ქერის ჩატანა და იქიდგან ქერის ფქვილის ამოტანა პირველი არ იყო, მაგრამ ეხლა, როგორც ღვთისო ჰფიქრობდა, „რაღაც ავი ანგელოზი წინ გადაეჩეხა და გამსჭვალა“...

„ოჰ!.. უეცრივ წამოიძახა ფათამ და თვალები ღვთისოს მიაპყრო.“

ღვთისომაც შეჰხედა ცოლს და მთვარის შუქზე შეჰნიშნა, ფათოს თვალები ატივ-ტივებულ იყვნენ. იმასაც აუტივ-ტივდა და უეცრივ ორივენი ატირდნენ...

როცა ორივემ კარგად მკერდი დაისველა, ორსავეს უნებურად ერთად ოხვრა ამოჰსკდათ გულის სიღრმიდგან, და ორივემ მშვიდად მძინარე „**ოლოლებს**“ გადაჰხედეს...

„**ოლოლებს**“ უდარდელად ეძინათ. იმათ რო შეეგნოთ, რა ალი ტრიალებდა დედის გულში, მაშინ... მაგრამ ჩვილები როგორ შეიგნებდნენ?!.


ხატაურაც ჩაჰგორებოდა ბავშვებს შუაში და უდარდელად კრუტუნებდა. ქათმები ხომ იქავე დერეფანში, სადაც ბავშვებს ეძინათ, და ცოლქმარი მწარედ ისველებდნენ მკერდს, დიდი ხანია ძილმა წაიღო, და მხოლოდ ძილში ოდნავ ხმაურობა-ლა ამხელდა იმათ იქ არსებობას.

არ ეძინათ ცოლ-ქმარს გარდა კიდევ ბროლიას, «უშობელას». ბროლიას გული უკვენსდა და ძალიან მალი-მალ წკმუტუნებდა. ის ყოველ წამს უბედურებას მოელოდა, და მთელი ტანი უთრთოდა... „უშობელას“ კი მუცელი სტკიოდა, ჰბორგავდა, კვენსოდა და მწარედ ფშმუოდა. ხან გველნაკბენით წამოვარდებოდა შავად გაიკვნესებდა, გაიზმორებოდა და ხან კიდევ მძიმედ, ბრთხილად, რომ თავის ნაყოფი უეცრივ დახეთქებით არ დაემავებინა, თუმცა კი ისე ჰსწვავდა ტკივილები, რომ მზად იყო კლდეს ჰხეთქებოდა, სწრაფად მოელო ბოლო ამ აუტანელ ტკივილებისათვის და თავის სიცოცხლისთვისაც...

### IV

ფათამ თითქოს უეცრივ მიიძინაო. მოკლე და ჩქარი სუნთქვა გაუთანაბრდა. ღვთისომაც თავი სართუმალზე მისდო. და დაქანცულს უეცრივ წასთვლიმა. მაგრამ წამიერი იყო ეს წათვლემა: ჩქარა შემოესმა ფათას ხმაურობა. ღვთისო ისევ წამოჯდა. ფათო ხელებს აფათურებდა და გაიძახოდა:





— რა გიჭირს, ჩემო ყველაფე!.. ჩქარა ლოგინს გაიახლებ!.. მაგრამ!.. ოოოჰ!... ამოსკდა ფათოს ქვითინი...

— რაისთვის იკლავ გულს, ადამიანო?!— შეევედრა ღვთისო თავის ცოლს.

— ღვთისო!..

— აქა ვარ, აქა!.. ვერა მხედავ ბედ-შავო?!

— „ოლოლებს“ გავედრებ ლომისავ, „ოლოლებს“!..

— ადამიანო, გამიგონე, რაის უბნობ?!.

— ლომისავ... ღვთისო... ჩემ ფეხს ჩემი ოლოლები არ დაჩავგრინოთ!.. ოჰ, ნეტამც „დეკნიკოს“ ხბოს დაბადებამდის მაინც ვიცოცხლო!.. ჩემ სიკვდილს ხბოს სიხარულს გააყოლებენ ჩემი ოლოლები... აღარ დაჩავგრებინა!..

— ჰბოლავს ბედშავი!.. წყალი დალიე, არ გინდა?!.

ფათო ისევ მიწყნარდა. ღვთისოს შეკითხვა არც კი შეჰსმენია. „დეკნიკო“ კი (უშობელა) ამ დროს უარესად ჰბორგავდა და ჰკვენესოდა. მაგრამ იმისთვის აღარავის ეცალა.

„ოლოლებს“ ტკბილად ბავშვურის ძილით ეძინათ; ხატაურა იმათ შუა ძილში ტკბილად კრუტუნებდა, და ქათმები, აბა რის ქათმები იქმნებოდნენ, რომ უდრო-უდროს ძილი გაეფრთხობო.

დარჩნენ მხოლოდ ღვთისო და ბროლია...

ღვთისოს მწუხარებისა და უძილობისაგან კისერი ჰსწყდებოდა, და ბროლია კიდევ უბედურების მოლოდინით უარესად წმუკუნებდა და კრთებოდა. სხვები კი... აბა, მეზობლები რა გულს შეიწუხებდნენ, გინდაც იქვე ყოფილიყვნენ...

V.

რაკი ღვთისო დარწმუნდა, რომ ფათო თითქმის დამშვიდდა, სწრაფად მიწვა და სწრაფადვე ღრმა ძილმა შეიპყრო. რამდენი ხანია თავს დასტორიალებდა ღვთისოს ძილი, მთლად იმის სხეულს ჰყდენთავდა, ღვთისო უმაგრდებოდა, არ ემორჩილებოდა, მაგრამ ეხლა კი, როცა გული დაიმშვიდა, რომ ფათო დამშვიდდა, დაემორჩილა. „ეჰ!“— წამოიძახა და მთლად დაემონა. მონა ბატონმა მთლად დაიმონა და თავის უსაზღვრო სამეფოში შეაღწერა.

ბროლია კი არ დაემორჩილა მედგარს. ის რამდენჯერმე წამოჯდა, მთვარისკენ პირი ჰქნა და სამგლოვიაროდ წამოიყმუვლა და წაიყეფა...

ბროლიას უნდოდა ყველანი ფეხზე წამოეყენებინა, რადგანაც უბედურება კარს მომდგარიყო, მაგრამ ვის ესმოდა? შინაურებს არავის ესმოდა, რადგანაც ყველას ღრმად ეძინათ; მეზობლებმა კი, თუ ყური მოჰკრეს, მაშინვე წაიბუტბუტეს: „**ღმერთო, პატრონის კარის შორს ნუ წაიყვან უბედურებას!**“.. და ისევ ხვრინვას მიმართეს...

მთვარე ხომ ცივია. იმის ცივი სხივები კატასავით ჩუმიად ებარებიან არე-მარეს და ყველგან მოწმედ ხდებიან. ბროლიას ეგონა, მთვარე მთვარე ვიპოვეს ყურადღებას, იპოვნის და განდევნისო, პაგრამ სწორედ იმ დროს გამოიპარა დერეფნიდან, როცა უბედურება მიინარეთ თავს წაადგა.—

— ღვთისო!.. იკივლა ფათამ; თვალეზი უცნაურად მიაველ-მოავლო და წამსვე მიღუღლა.

— ოჰ!.. უნებურად ამოჰსკდა უკუმეთი ოხვრა ფათას, და—სხეული მიეღეშა...

ბროლიამ საშინელი წკმუტუნი დაიწყო. უფრო კუმეტად შეჰყეფა მთვარეს. ღვთისო წამოჯდა. თითქოს რაღაც კვილი შემოესმა?! ფათას გადახედა. ის მშვიდათ იწვა. თუ ეს ბროლიას ყმუილი იყო?!. ჰო... ეს სწორედ ბროლიამ გამოადვიდა... აგერ კიდევ შეჰკმუვლა!..

— აი, შე ვერანავ, შენი თავი ამოიჭამე!.. დაუტატანა ღვთისომ ბროლიას.

ფათა ოდნავ შეინძრა... ღრმად, ღრმად ამოისუნთქა და...

ბროლია ამის შემდეგ იქვე ჩაიღეშა, თითქმის სუნთქვა შესწყვიტა. დეკნიკომ თავისუფლად ამოისუნთქა და რაღასაც ლოკვა დაუწყო. ღვთისოც მიწვა გამოურკვევლად. მიიძინა. ქათმები ოდნავ წიფწივებდნენ და მამალამ კი მედიდურად კისერი წამოისროლა და თვალეზი დაჭყიტა, ფრთები შებერტყა და მედიდურად წამოიყივლა: „**ნუ გეშინიანთ, გათენდებაო!**“.. მეზობლის მამლებმაც ბანი მიჰსცეს და ყივილი მორთეს: „**გათენდებააა-გათენდებაო!**“..

VI.

...მართლაც გათენდა. პატარა სოფელმა გაიღვიძა და ღვთისოს უნუგემო გმინვაზე იმის კარზე დედიან-ბუდიანად თავი მოიყარა.

ანუგემებდა სოფელი ღვთისოს. ისიც დაჰმორჩილდა ბედს. ოლოლები ადგნენ თუ არა და დაინახეს ხბო (მართლაც ფათას ნატვრა აუსრულდა: დეკნიკომ ხბო სწორედ მაშინ მოიგო, როდესაც თითონ სული განუტევა), მაშინვე იმას მიჰვარდნენ და დედის გარემოება აღარ მოჰგონებიათ. თუმცა ჰბოდავდა ფათა, როცა ამბობდა: ხბოს სიხარულში ჩემ სიკვდილს გაჰქნიანო, მაინც მართლა ასრულდა. ხატაურა წამოადგა თუ არა, მაშინვე ქურდულად, მთვარის უეჭვივით, ყველგან შეიჭრა, მიისუნსულ-მოისუნსულა და შემდეგ ბანის ერდოს მოაჯდა და იქიდგან ზვერვა და ყნოსვა დაიწყო, თუ სად უკეთეს სურათს ან სანოვავეს ჰნახავ-ჰყნოსავდა. ქათმები მაშინვე მამლის წინამძღოლობით კარ-მიდამოს მოედგნენ და რუკ-რუკ კაკანით უდარდელად ნავგის ქექას შეუდგნენ.

მეზობლების ნუგეშმა ღვთისოს გული მოუბრუნა, და მიცვალებულ ფათას წესის ასრულების ზრუნვამ ხომ სულ გაუქარწყლა მწუხარება. მხოლოდ ბროლია იყო უნუგემო. საცა იმ ღამეს და-



ეგლო, ეხლაც იქვე იყო და არ ინძრეოდა. თითქმის ზედა ღვებოდნენ, მაგრამ ის კუდასაც არ იქნევდა. სხვა დროს ღვთისოს კარ-მიდამოზე ჭიანჭველასაც არ შეეძლო გავლა და ეხლა-კი ვინ გინდა არ ჰთვლავდა ფეხით ამ კარ-მიდამოს. მწუხარებამ მთლად დაამონავა. და ღვთისოს უმადურებამ ხომ სულ დაადამბლავა, როცა იმან იკვილა: „შენი თავი ამოიჭამეო“!..

ვიდრე ფათა არ დაასაფლავეს, არ განძრეულა ბროლია.

დასაფლავების შემდეგ კი... აპატია ღვთისოს შეურაცყოფა და ისევ თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა: აღარავინ გააჭაჭანა, „ოლოლებთან“ ერთად ხბოს ეთამაშებოდა და უვლიდა, მაგრამ მაინც თავის გუნებაზე არ იყო...

ფათას დასაფლავების მესამე ღამეს მეორე უბედურება ეწვია ღვთისოს ოჯახს. „დეკნიკოს“ თურმე ხბოს ბუდე ვერ დაეგდო. ამას აბა, ამ დროს ვინ შეამჩნევდა?!.

ამ ღამესაც ბროლია მთვარეს ემუდარებოდა, მაგრამ არავის გაუგონია.

გინდ გაეგონათ, ბროლას ამოქოქვის მეტს რას გაარიგებდნენ!

ღვთისო დილა-ადრინად წამოდგა და რა დაინახა?!.

დეკნიკო გამოტილი ეგდო. დაქყეტილი თვლები, პირი და საცა კი სინოტიე ჰქონდა, მსხვილი ბუზებით ამოჰვსებოდა. კიდთან ახლო მამალა დაპრუკ-რუკებდა, დედლები კიდევ დიდის მუსაიფ-ყაყანით მამალას გარს ეხვეოდნენ. ბროლა-კი შორი-ახლოს ეგდო და არ ინძრეოდა.

— ეს ლა მაკლდა!..—წამოიძახა ღვთისომ და თავი მოიფხანა.

— უსულადო მაინც არ მომეკლა... გადაჰხედა ხბოს, რომელიც ბავშვების გვერდით იყო მიბმული, და ტირილი ყელში მოეხიჩინა.

ველარ შეჰსძლო თავის შემაგრება და ქვითინი მორთო: შენც დაობლდი, ჩემო ფუჩინავ, შენც!.. შენც დედა მოგიკვდა ჩემი ოლოლებივით!.. მივიდა ხბოსთან და გულში ჩაიკრა...

## VII

...როგორ ამუშავებ ცალ უღელს?! ვერც მოჰხნავ და ვერც დასთესავ! სწორედ ამისთანა გარემოებაში ჩავარდა ღვთისო. გარედ გავიდოდა, სახლი უპატრონოდ რჩებოდა, და სახლში შევიდოდა, გარედ აღარავინ იყო გამკეთებელი. სწორედ ცალუღელა ხარს დაემსგავსა. ხუთისა და ექვსი წლის ჩიტო და ბელურა რას გაუკეთებდნენ? ისაც კარგი—ხბოს არ ჰშორდებოდნენ და უვლიდნენ თავიანთებურად, ბავშვურად... ხან ჰკოცნიდნენ, ხან პურს აჭმევდნენ, მეზობლისას წაიყვანდნენ და რძეს ასმევდნენ, და ხან კიდევ ბალახს აჭმევდნენ...

ჩიტო, ბელურა და ხბო ეხლა განუშორებელნი გახდნენ: ერთად თამაშობდნენ ველზე, ერთად მსვენდნენ და ერთად იძინებდნენ. ხბო თითქმის ჰატოდა და ბელურაში გაიქნა, და ბელურა და ჩიტო კიდევ ხბოში, ყველანი კი ერთმანეთში.—

ღვთისოს და მთელ სოფელსაც ერთი თვის შემდეგ ეს სამი არსება უერთმანეთოდ ვერ წარმოედგინათ. თითონ ეს სამნიც უერთმანეთოდ ვერ გაჰსძლებდნენ. ღვთისოს უხაროდა ასეთი გაერთსულოვნება, მაგრამ თავის ოჯახზედაც ჰფიქრობდა.

ცალუღლობა წარმოუდგენელი იყო იმისთვის, და ამის გამო მეუღლის ძებნას შეუდგა...

ს. ბედობის პირდაპირ არაგვ-გაღმა მთის კალთაზე ბედობისათვით ჰატარა სოფელი იყო გამოქიმული. ბედობიდგან იმ სოფლამდის ხმას გააწვდიდი, მაგრამ მიმოსვლა კი აგრე ადვილი არ იყო.

სწორედ ამ სოფელში დაქვრივდა იმავე დროს ერთ მრავალ-რძლიან ოჯახში ქალი. ქვრივ რძალს მრავალ-რძლიან ოჯახში არა უხარიაწრა. სხვა არა იყოს რა, ერთ დარბაზში ქმრიანი რძლები უგორდებიან გვერდთ თავიანთ ქმრებს, ის კი სადმე კუთხეში უნდა მიეგდოს მარტოკა და...

კიდევ კარგი, თუ შვილი ჰყავს. იმას მაინც მოიწვენს გვერდით. მაგრამ ეს სულ სხვაა.


აი, ღვთისომ სწორედ იმაზე იფიქრა და ჩქარა სისრულეშიც მოიყვანა. როცა ღვთისომ და კუტამ მიიტირ-მოიტირეს თავიანთი მიცვალებულები, იმათ შეერთებას რაღა ეწინააღმდეგებოდა!

მართლაც ერთ მშვენიერ დღეს, თოვლის პირველ ჩამოყრაზედვე, ღვთისომ გაღმიდან გამოღმა გამოიყვანა კუტა თავის შვიდისწლის ქალითციცათი და ფათას ადგილას დაამკვიდრა. ჩიტოს და ბელურას არც კი უფიქრიათ ამაზე რამე. ვერც კი შეამჩნიეს ეს ცვლილება, ისე იყვნენ გართულნი თავიანთ ხბოთი. აღსრულდა ფათას სიტყვები: „შენ გაიახლებ ლოგინს“... გაიახლა ღვთისომ ლოგინი. ფათას მაგივრად კუტა დაამკვიდრა. ფათას ნატვრაც აღსრულდა: „ნეტავ დეკნიკომ მოიგოსო“... მოიგო მართლაც იმ ღამეს, და ჩიტომ და ბელურამ დედის სიკვდილი ხბოს აღერსს გააყოლეს. ვერც შენიშნეს. აგრედვე ვერ შენიშნეს კუტას დაამკვიდრებაც. დედა ნატრობდა სიკვდილის წინ, ნეტამც ჩემი სიკვდილი არ შეამჩნიონო და მართლაც, არ შეამჩნიეს, ხოლო კუტამ სხვა მხრივ შეჰხედა თავის დაამკვიდრების შეუმჩნევლობას...

## VIII

გაზაფხულდა კიდევაც. არე-მარე ნაზად მოიროთო და გაზაფხულის მზის სხივებში დაჰცურავდა. ს. ბედობი დედიან-ბუდიანად ისევ გარედ გამოიფინა და ჩვენი ოლოლებიც თავის ხბოთი ტყეს მოედნენ. ოჰ, რა ნეტარებას ჰგრძობდნენ ეს სამნი ერთმანეთის ხილვით და ერთად ყოფნით!..





კუტა და ციკა ბევრჯელ შეეცადნენ მთელი ზამთრის განმავლობაში ხბო თავიანთკენ გადაებირებიათ, მაგრამ ამაოდ. ხბო იმათ არ ეკარებოდა. ციკა ბევრჯელ აცრემლებულა და დედის მკერდი დაულობია... კუტა იტანჯებოდა თავის ციკას ცრემლიანს რო ჰხედავდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაერიგებინარა იმის ცრემლების მოსამშრალეზღადა.

თან და თან კი, თუმცა ნელა, უმწიფდებოდა საზარელი აზრი კუტას... კუტამ ბევრჯელ ჰსცადა ოლოლების აცრემლება გაჯავრებით, თუ გატყვიპით, თითქოს იმათი ცრემლი ციკას ცრემლებს მოამშრალეზღადა, მაგრამ ვერას გახდა. რაც უფრო სასტიკად ეპყრობოდა, მით უფრო ღრმავდებოდა ამ სამი არსების ერთმანერთისადმი სიყვარული. ეს გარემოება კი ერბოს ცეცხლზე აღვენთებდა...

გაზაფხულმა სულ მოუშწიფა კუტას საზარელი აზრი, რადგანაც ციკა უფრო მწვავედ იტანჯებოდა. დილით ადრე გამოვიდოდნენ ერთად ოთხივე. გაიქცეოდნენ ერთად ტყე-ველისკენ.

ციკა თავის უხეშის მოქმედებით ხბოს აბრაზებდა. ის-კი სცდილობდა არ მიჰკარებოდა. ბევრჯელ კუდს დაუჭერდა და აეთრეოდა, ან კიდევ ყელზე ხელს მოუჭერდა და თავის გვერდიდან არ უშვებდა. ხბო პირველ შემთხვევაშივე თავს დააძვრენდა და ოლოლებს მიეაღერებოდა. ისინიც ნაზად ხელს უსვამდნენ და ჰკოცნიდნენ. გაბრაზებული ამ სურათით სახლისკენ გარბოდა და ასლოკინებული დედას კალათაში უვარდებოდა...



# ბედი მგოსნისა

ღრამა ხუთ მოქმედებად.

## მ ო მ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი :

თავადი ლევან.

თამარ, ამის ქალიშვილი ნიკო, ახალგაზ. მგოსანი ირაკლი, ნიკოს მეგობარი თავად არჩილი.

დათო ბესარიონ არჩილის თედო მეგობრები. გიო და სხ.

თომა — მათხოვარი. ვასილ (თომას შვილ. შალვა) გამდელი. აჩრდილი. ნიკო.

ხალხი, ბრბო არჩილისა, პოლიციელნი, ჯალათი, მღვდელი, ჯარისკაცნი, მოსამსახურენი და სხვა.

## შ ე ს ა ე ა ლ ი.

ვით დავივიწყებ ციურ სხესა, თუნდ გადაფრინდეს უცხო მხარესა? გული თავიანთს სცემს, ეაღერსება, მარად მასთან ჰქრის ნაზი ოცნება!

## IX.

— ვაი, ვაი!.. ძვლები მემტვრევა!.. არ მომეკარო, არ მომეკარო, თორემ სულ დავიღწები!..

ღეთისოც შორი-ახლო იჯდა და გონს ვერ მოდიოდა...

— ადამიანო, რა დაგმართნია?! რა მიწის მგელი გამოგივარდა?!.

— ვაი, ვაი!.. ძვლები მემტვრევა!.. ჰყვიროდა კუტა, და მართლაც, ყოველ გადაბრუნებ-გადმობრუნებაზე გამოისმოდა ტკაცა-ტკუცი...

ტკბილად ეძინათ ოლოლებს, ციკას და ხბოს. ბროლამ კიდევ უცნაურად მთვარეს შეჰყეფა. ღეთისოს ელდა ეცა ეს ხმა ბროლასი. წამოავლო კეტს ხელი და გარედ გამოსვლის უმაღ ბროლას ესროლა.

— აი, შე ვერანავ, შენა!.. შენი თავი ამოიქამე!..

ბროლა წკმუტუნ-წკავ-წკავით გაიქცა და სახლს მიეფარა. იქ ობლად მიეგდო ბროლა და საშინელი ოდნავის ხმით წკმუტუნი დაიწყო... ღეთისო დერეფნის ბოძთან ჩამოჯდა, ზედ ზურგით მიეყრდნო, და შავმა ფიქრებმა წაიღო... „რა უშველოს?! როგორ მოიქცეს?!. ნუ თუ კიდევ დაცალდება?!“

სახლიდან კი „ვაი... ვაი“... გამოისმოდა. მხოლოდ დრო-გამოშვებით მიწყნარებოდა ხოლმე...

## შ. არაგვისპირელი.

(შემდეგი იქნება)

მისკენ მივიღტვი, მისით ვსუფდგმულაბ, გზას მინათებს ბნელით მცნულს!.. მის წინ მუნღს ვიდრეკ... მასზედ ვლაცულაბ, სსწარვეკეთაღს მამხეკებს სულს. მასვე მიუძღვნი ამ ნაწარმებს, გულის ნათლად თქმულს იგი მიჭზდება; სხვას არ ვზიდები, სულს ვერ აღუგზნებ, — რა გადიკითხვას მოეწინება.

## მ ო მ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი.


### სურათი I.

ბ ა დ ი ს ბ ო ლ ო.

სცენის სიღრმეში მოსჩანს ლევანის კარმიდამოს ნაწილი. შუა სცენაზედ დიდი მუნის ხე სდგას, რომლის გვერდითაც წყარო გამოდის და იქვე ფერღზე მიჩქრიალებს. ნაძვთა შორის რუს პირად წამოწოლილია თამარი და წიგნს ჰკითხულობს.

თამარ. ნეტა ვინცობდე ამ ღექსთა დამწერს!.. ნორჩ გულსა ჰზდება გრძობით აღსავსეს! ცისკენ მიმაფრენს და მაფრთოვანებს, ხან ნაღვლიანსა ცრემლს მადვრეკინებს.





ხან ჰქუხს და გრგვინავს... ხან იბუნდება,  
 ხან ვით შხის სხივი გამობნეწინდება!  
 ნეტა ვინცნობდე ამ ლექსითა დაშურს!—  
 (წიგნს ჰფურცლავს)  
 აი, სურათი! თვალით შექს აფრქვევს!..

(სურათს აცქერდება. შემდეგ წამოდგება და წყლის ნაპირზე ყვავილებსა ჰკრეფს. რომელიც მოეწონება წიგნში ჩასდებს და თან კონასა ჰკრავს. სიმღერით აპყვება ბუჩქებს.)

სურნელოვანო, ტურფა ყვავილო,  
 ნორხად აზრდილხარ ამ წყლის პირზედა,  
 მაგრამ მოგწვევტავ და შენ კვლავ ვეღარ  
 გადიფურჩქნები მზის სხივებზედა!..  
 ვეღარ იხილავ კამკამა ნამსა,  
 აწ მოჭმორდება ამ არე-მარეს;  
 აღარც ეს წყარო შენ ნანას გეტყვის,  
 ვეღარც შეეტრფი შენ ცაზედ მთვარეს!  
 აღრე მოგწვევტავ, შენით დავსტებები  
 და ჩემსა ხელში მსწრაფლად დასტებები!..

მე ეს ყვავილი უფრო მომწონს, ტურფა რამ არის.  
 ჭრელი ზეზვლაც ამას ელტვის.. ზედ დაჭურთვტებს!  
 აკერ შეტრეც მას თან მოჭყვავ... რა რიგ თრთოლავუნ...  
 აღბად სტებებიან ტებილის წვეხით... ეჭ, ზევით წავალ!

(ყვავილის კრეფით მიდის და შეტრე ფერდობზე ბუჩქებს მოეფარება. მარცხენა მხრით შემოდის ნიკო, უკან ირაკლი მოსდევს ჩანგურით ხელში).

**ნიკო.** სატრფო აქ ცნოვრობს! ნეტარ არს იგი,  
 რამ ამ სურათით მუდამა სტებებს;  
 მისთვის კლდე-დრეში მე ცრემლებს ვაფრქვევ,  
 ის კი ყვავილებს ეაღერებს!..  
 აბა, ირაკლი, მიმოახედე,  
 ჰხედავ, ბუნება რა რიგად ჰხარობს?  
 აკერ, იქ წყარო ცრებად იფრქვევ,  
 გესმის ბუღბუღი რა ტებილად ჰკლავს?

**ირაკლი.** მართლაც რამ დიდად ბედნიერას,  
 ვისაც ბუნებით უსარტებუნია  
 და თვისი დღეხი ამ ბედგურულ ქვეუნად  
 ნეტარებაში დაუღევიას  
 ჩემი იმედიც, აი, აქ სცნოვრობს.  
 მას ძლიერ უფვარს ეს ყვავილები  
 და დილით აღრე დაუღაღაფად,  
 ჰკრეფენ და ჰკრეფენ ნორხი ხელები!  
 განთიადისს მე დამინახავს,  
 გულს ყვავილითა როგორ იქარგავს!  
 აქეთ იქმნება გამოაროს,  
 მამ მეც მოვჭკრეფავ, შევკანავ ყვავილს;  
 ლამაზად მოფრთავ და შიგ გულში-გი  
 უკვე დაწერილს ჩავდებ ჩემს წერილს!  
 რას გამოფელის გზას გადაუღობავ,  
 ვეცდები რითმე მოვხიბლო იგი,  
 თუ არ მოჭხერხდა, მაშინ ზანუნსა

ჩემს მაგივრად გასცემს ეს წიგნი! (ყვავილებს ჰკრეფს)

**ირაკლი.** ყვავილებს ექვთ თამაროსთვის!

**ნიკო.** შენ გამოიცან! მსურს კონად შეჭკრავს და  
 (სხვს და სხვს ყვავილებს მოჭკრეფს: კონად შეჭკრავს და  
 გულში წერილს ჩასდებს.)

ახ, ნეტა აქეთ გამოაროს... —  
 მაგრამ, ვაი თუ მან არ მიიღოს?

**ირაკლი.** თუ კი გაიგო, ძმაო, ვინცა ხარ,  
 სიხარულითა გულში ჩავიკრავს!

**ნიკო.** გრე გტონია?

**ირაკლი.** დახ, მგასანსა ზატევისა სტემენ!

**ნიკო.** იქნებ სხვა უფვარს?!

ურსს მეტყვის და მომიცილებს,  
 არცა მიიღებს ამ ტურფა კონას!

მე კი მას ვეტრფი, მასზე ვცნებობ,  
 მას ერთს შევჭხნარი ახგელისის მსტავს!

ერთხელ ვიხილე, მსწრაფლ შეგეფვარე,  
 მას დავუმოხე გული მგზნებარე,

მაგრამ არ იცის და ეს მტანჯავს!..

**ირაკლი** (ჩანგურს დამღერის)

თუ გსურს ვინმე შეიფვარო,  
 სატრფოდ ტურფა გამოხანე;

თუ გულმა გულს გაუღიმა,  
 შენც უხვეუე შენი სახე!

თუ არა და მოერიდე,  
 ვეღვან გიღვა ბნელი მახე;

გაუმები, ბედს იწეველი,  
 გაგემურვის ზირისახე!

ეს ლექსი ვჭკრებ შენც გავცნობ  
 გუშინ ექსპრომტად სოჭვი და ჩავსწერე.

მამ შენმა ლექსმა შენვე გასწავლოს,  
 ჩემო ძვირფასო, ჰკუ-განება!

თვალი მოჭკარი! თამრო ექნება!

**ნიკო.** ჩუ! ვგანებ, აქეთ მართლას ის მოდის...

მარტო დამტოვე.

**ირაკლი.** ჭერ ჰკრეფავს ყვავილს. (ირაკლი გადის)

**ნიკო.** გზა გადაუღობო? როგორ მოვიქტე?

მივტე წერილით კონა ვარდისა?

გული განკალებს! ვით გავუმღავნო

მიზეზი სულის ტანჯვა-დარდისა?

(ბუჩქებს ამოეფარება, თამრო ბილიკით მოდის და ზედ  
 წაწედება, ორივენი შეკრთებიან.)

**თამრო.** მანდ ვინა სდგახარ?

**ნიკო.** მე გზას გიღობავ!

**თამრო.** რადა?—ვინა ხარ?

**ნიკო.** მე ეგ არ ვიცი!

**თამრო.** უბრთხილდი შენს თავს!

**ნიკო.** ნუ მირისხდები!


**თამრო.** მე შენ ვერ გიცნობ!

**ნიკო.** ეს ხომ ბადა?

**თამრო.** და ჩვენ გვეკუთვნის.

**ნიკო.** ყვავილის კრეფა ქალებს თუ გიფვარო,  
 მეწმუნე, ტურფავ, ეს არც ვაყებს სძავთ.





სულთ მწუხარე სასიეროდ მე მივდიოდი  
და რა ამ ადგილს გადმოვხედე შეტად მშვენიერს,  
ადარ ვინდომე შორს წასვლა და აქეთ გადმოვხეტი..

ევაგილებ შორის დავინახე იგი ფრინველი,  
რომელსაც მუდამ ოცნებათა თავს დავსტრიალებ,  
ეს ევაგილები კონად შეეჭკარ იმ ფრინველისთვის  
და ამ კონაში გავახვიე თვით ჩემი გულიც.

აი, მიიდე, თვით ეს კონა გაგაგებინებს,  
თუ მე რისთვისაც შეგახერე, გზა გადგილობე,

**თამრო.** არა მინდა-რა, ჩამომეცადე.

**ნიკო.** ამით გაიგებ ჩემს გულის თქმას...

**თამრო.** გახერდი, კმარა!

**ნიკო.** ნუ მინისხდები!

მაგით მხოლოდ იმ გულს დასტანჯავ,  
რომელს უუვარხარ და შენ ერთს მარად თაყვანს გცემს.

**თამრო.** ნაზი სიტყვები ღრმად გულში მწვდება,

შეება-სიამეს მით მაგრძობინებს;

მივიღო კონა?—დაე მივიღებ...

ნორჩი ევაგილი რას დამიშავებს?

(ერთმანეთს გაშტერებით უტყვიან. შემდეგ თამარი კონას ჩამოართმევს და გაიტყუა.)

**ნიკო.** მთვარადა ბუჩქებს... კონა წაიღო.

რა უტბად მთვარა ეს ევალიაფერი!

(ოცნება შეზერობილი ნაძვს მიეგრძობა და სდუმს. გარედ ირავლი ჩანგურს უკრავს და მის ხმაზედ ნიკო გამოეჩქვევა.)

სულ დამავიწყდა, მეკობარი გარედ რომ მიცდის.

შეუვარებულ გულს სატრფო ახსოვს დასხვას იფიქრებს...  
ჭეი, ირეკლი!

**ირაკლი** (შემოდის). არ გინდა დასთმო ტურფა  
რად დაგდრეჯია, ძვირფასო, სახე! | სამოთხე,

**ნიკო.** არ ვიცი!

**ირაკლი.** როგორ? შენს მიზანს ვერ მიაღწიე?

**ნიკო.** მე არც ეგ ვიცი! ვიცი მხოლოდ კონა წაიღო.

**ირაკ.** მაშ მიზანი შენ მეკობარო, აგსრულებია!

წინასწარ გრძობა ჩამხურჩულებს: უარს არ ეტყვიან!

**ნიკო.** ოჰ, ეგ რომ მოხდეს...

**ირაკლი.** შეუძლებელი რა არის სოფლად?

ეური დაუგდე აბა ჩანგურს;

მისი სიმთ უღერა ავადრთოვანებს

და იმედებით ავივსებს გულს!

ზედ დავამდერებ ლექსს მოქარგულს,

არა უცხოსა, შენგანვე თქმულს!..

ნაზი ოცნება შორს გაგიტაცებს,

სევლით აღსავსეს მოგილხენს სულს!

(ჩანგურს უკრავს. ნიკო წელის ზიარს ხვს-მოკიდებულ ქვაზედ დაეურდნობა და ეურს უტდება.)

**სიმღერა.**

შავი სევლის ნაპერწკალი  
სატრფოს თვალებს მომაგონებს;  
მთვარის შუქის ნაზი ქსელი  
ხან მალხენს და ხან მალხენს.

ივერის მზე-ასული

სადამო ჟამს ჩანგს დამდერის; **მარკონული**

თვით ნათელი, ნათლის სულთ **მარკონული**

სასურველს შორით ელის.

გამსჭვირვალე, ლაჟვარდი ხარ,

ევაგილების დედოფალი;

შემიწირე, მსხვერპლად დამწვი,

სულის ხმა გთხოვს იდუმალი.

გადიდებ და შენს გარეშე

არვინ მივის ამა სოფლად;

სულს მომბერე სიხარული

და გამხადე მკობელ მკონად!

(გათავებს სიმღერას. ნიკო დაღვრემილი სდუმს.)

აბა რას იტყვი, ხომ მართალია?

შენ მან მოგბერა ცის ნიჭნი ქვეყნად

და თავის მკობად შენს გქმნა მკონად!

**ნიკო.** მე ეგ სიმღერა სევლას უფრო მგვირის...

**ირაკლი.** ვით შენს გულსა ჭურის მაშინ დასტებები,

როს თამრო გეტყვის, „შეც შეუვარები“!..

**ნიკო.** მან რომ ხელი მკრას, არ ვიცი თუ რა გა-

შავი სამარე მისი ხელით მე გამეთხრება! | დამხდება?—

**ირაკლი.** დამშვიდდი ძმაო, რისთვის აფრქვევ ჯერ

მწარე ცრემლებს?

ხვალ სადამო ჟამს, როს მზემთისკენ გადაჭრის სიბევს,

და როს ნიავი არეს დაჭბერს და გააგრძლებს,

მაშინ მე და შენ გაუვარათ იმათ ტურფა სახლს,

ის აივანზე გადმომდგარი ხშირად მინახავს

**ნიკო.** (აწვევტიანებს) მაშინ წერილის ვასუხს მო-

**ირაკლი.** და შენს ბედ-იღბლს | ვსთხოვ...

ის დრო გადასწვევტს... ეხლა წავიდე! (გადიან)

(შემოდის ლევანი)

**ლევან.** ახ, ეს სიბერე რა ძნელია, მუხლთ მომეკვთა!

შენს ხარ მხოლოდ სიჭბუეკვე, მთელ სიცოცხლეში,

ვარდი, რომელიც ყოველ სულდგმულს ატობობს და ჭხი-

ბლავს.

მაგრამ, ვაი, რომ იგი ვარდი სულ მალესჭკნება

და მისი ნაშთი ამა სოფლად ნაგვად რჩება!

ძველი მოკვდება და მის ადგილს ნორჩი დაიჭერს...

შეც ცალი ფეხი სამარეში უკვე მიდგია

და არ კი ვხალღობ ჩემ თამროზე, ჩემ ქალიშვილზე,

აწ კი დრო არის ვინმე საქმრად აღმოუჩინო..

მაგრამ ვინ არის? ვისა ვჭხავებ შესაფერ სიძეს?

ჭო, მომაგონდა თავადი არჩილ,

მას ჩემი შვილი შეჭყვარებია;

მაგრამ მე იმას უარი ვუთხარ,

ეური სულაც არ მითხოვებია!

რა დიდად შევცდი! ის თავადია!

დიდი ქანების ზატრანი არის

სად სიმდიდრეა, მოგესხენებათ,


ბედნიერებაც მხოლოდ იქ არის!

ეხლა წავალ და ამ ჩემსა აზრსა.

გამოვუძღვანებ ძვირფასს თამარს!

ის თავად არჩილს არ დაიწუნებს





და ჩემის რჩევით მას შეიუღლებს!  
(გადის. შემოდის თამარი წერილის კითხვით.)  
**თამარი.** წასულა იგი! აქ აღარ სჩანს.

ნუ თუ ის არის დამწერი წიგნის?  
ნათელი სახე გულის ჩამენერგა,  
და ესლაც მისი მსგავსი ხმა მესმის!  
მისი თვალები რა რიგ ბრწყინავდნენ,  
ხან ილეოდნენ, ხანაც ელავდნენ!  
მკრთალი ნათელი მის ტურფას სსხეს  
ნარჩართ, შუებით უფრო ამკობდა!  
ოჰ, დმერთო ჩემო, იმისი ხილვით  
ჩემში რამდენი ცვლილება მოჭნდა!

გრძობა შეგოთავს გული მიწებს,  
გადეთვარა სეგდა გულს;  
რისთვის ვნახე ის ჭაბუკი,—  
მისდაში ვგრძობ სიუვარულს!  
ვიტანჯები, ვთროთი, ვკანკალებ,  
სუნთქვა მეტად მიძნელდება;  
მისი სახე ტის სივრცეში  
ანგელოსად მეღანდება!  
დმერთო ჩემო! ხან რა უტბად  
გულს იმედი მებადება?  
მაშინ იგი სიუვარულს  
ერთგულდობს და ემანება!

აი ამ ადგილს რა გრძობითა მწერს,  
ღრმად გულს მწვდება და მაფრთოვანებს!  
(წერილს ჰკითხულობს)

„მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეკ სოცარი  
„და განხათლე კვლავ ცა ჩემი ესრედ საზარი!  
„გულს მოკლულს შენის ტრფობით ტანჯვა აკმარე.  
„მომეცი ბინა შენთან ახლას და გამახარე!

„ნიკო“.

სახელიც სწორედ ნიკო ჰქმევიას;  
იგი ლექსები და ზომები  
ნუ თუ ამისი დაწერილია?  
თუ ასე არის, სხვა რაღა მეთქმის,  
თუ არა სიტყვა: „ჭო, შენი ვარ!“  
ზასუსხაცა მთხვარ... წავალ ვიფიქრებ...  
აზრი მერევა, დაბნეული ვარ!  
(შემოდის ლევანი)

**ლევანი.** თამარ, სად მიხვალ—  
მოწეინალს გხედავ

შენ ესლა უნდა მხიარულდებე.  
მე, იცი შვილო, რა გადაწვევით?

**თამარი.** არა მამილო, არა ვიცი-რა!

**ლევან.** აი, გაიგე, უური დამიგდე,  
მე ვინაიდან დავბერდი, შვილო,  
მსურს ქმარი შეგროთ, დავაბინაო,

**თამარი.** უურს არ დავუგდებ მე მაგ ლაზარაკს!

**ლევან.** მოიცა, შვილო, რად გამიბინარ?

**თამარი.** გთხვავ, მაგ საგანზე იტყვი ნუღარას!

**ლევან,** მაშ როდისღა ვსთქვა, თუ არა ესლა?

ხომ ჰხედავ, შვილო, მე გარდავსუღვარ,  
დამილევიას სიცოცხლის დღენი,  
სამარის კარს უკვე მივსუღვარ?  
და თუ ესლა არ დავაბინავე,  
ვინ იცის, შემდეგ რა არ მომეღის?—  
მე მინდა მიგცე ისეთსა კაცსა,  
დიდგვაროვანი რომელიც არის.  
შენი ერთგული იგი იქმნება  
და, ვიცი, შენცა შეგიუვარდება.  
მან თვითონ მთხვარ... შეჭყვარებინარ.  
ვაჟაკი შვილო, ჩინებულა;  
სიმდიდრით გინდა, თუ სიღამაზით  
უვლათრით დიდათ ის შემკულია!  
რა, რას ამბობ! ჰო, გინარინა!—  
ოჰ, ეს ქალები რანი არინა!

**თამარ.** ეკ ტყუილია! თავი ახებე,  
მაგ საგანზედა ნუღარას ამბობ;  
ოდეს მაგაზედ იწეებ ლაზარაკს,  
მაშინ გაქტეკას აქედან ვლამობ!  
მე თვითონ ვიცი, ვისაც ავირჩევე,  
ქმრად თუ სეუვარლად—ეკ სულ ერთია;  
მაგრამ შენ ვინც კი მოგწონებია,  
მასზე ბასი სწორედ მეტია!

**ლევან.** ვინ დავასწავლა მკვასე ლექსები?  
საკვირველია, შენ ამბობ მაგას?  
როგორა ჰბედავ მაშინ წინაშე  
ასეთი ურჩი აზრის წარმოთქმას?

**თამარ,** ძვირთვისო მამავ, ნუ განრისხდება,  
თამარს უვარსარ და ევარები!

**ლევან.** ჩემო გვრიტიკო, ჯერ ხომ არ იცნობ...  
სახეს უშევენებს მას ტანადობა;  
მდიდარიაო, დარბაისელი,  
ვისაც კი ვჭკითხე—ასე ამბობდა!  
სახის მშევენებას რაც შეეხება,  
ქალებს რომ უვართ—მოგწონება!

**თამარ.** მეც ამას გეტყვი რომ სიღამაზით  
კაცის ღირსება არ დავასდება;  
არც სიმდიდრეა მკვიდრი რამ განძი,  
ორივე ერთად მალე გაჭქრება!  
თვის ნანდამს სტროფის გული თვით ჰხოვებს,  
თუ სხვას მიეცით, მუდამიგლოვებს! (გადის)

**ლევან.** მე არ მეგონა, თუ ჩემს სიტყვებს აგრე  
იწეენდა,

აღბად რაც ვუთხარ, ვერ გაიგო, ანუ ვერ მიჭხვდა!  
ან და განაზდა, რაც ქალების თვისება არის,  
ქალს როდესაც სიტყვას ეტყვი დიდად მოსაწონს,  
არა გთანხმდება, გეკრძალება და ხან კიდევ ჰკმობს,  
შენი ნათქვამი აღასრულე თუმცა გულით ჰსურს.  
უეტყვებია, ასე მოსდის ძვირთვისს თამარის  
და მეც ჩემს ნათქვამს აღვასრულე, მოვჭეფენს ინარულს!  
(გადის)



სურთი II

ქუჩა ლევანის სახლის წინ.  
(საღამოა. გამოხედვის ნიკო და ირაკლი, უკანასკნელი  
მაღე გადის).

**ნიკო.** ჯერ აივანზე არ გადავადგარა,  
რომ მას ზსუხი გამოეშვებოდა;  
სულ ფუჭად მინდის ჩემი ოცნება..  
ჩუ! სიმების ხმა! თამრო იქნება!..  
(მალდა თამარი თარს უკრავს და ზედ დამდურის—ნიკოს  
ერთ ლექსს).

\* \* \*  
მწვერვალზედ ვიდექ— მაცნებდობდი,  
ბარად კი შენი გუნეს მესმოდა  
დაშორებულსა არ მშორდებოდი,  
ბრწყინვალე სხე შელანდებოდა.

\* \* \*  
და შემოცურდა ისილი ზღვის კიდიოთ,  
შემომეხვია ჩუმიად, სიფრთხილით;  
თანა მოცნინდა ნელის ჩურჩულით,  
თან გულს მიწავადა ვნება-სურვილით.

\* \* \*  
თუ სხვა არის ხარ— რად სცნოვრობ ჩემში?  
და თუ ჩემი ხარ— ტანჯვა მაქმარე;  
ოჰ, რად იფარავ ბინდის მკრთალს ღებქს,  
ჩემო მტანჯველო, გამომეღარე!

(უნებურად ტაშს შემოჰკრავს, თამარ აივანზე გამოვა)  
**თამარ.** ვინა ხმაურობს, ტაშს ვინ უკრავს,  
დაბლა კი, ვგვანებ, არაფინ მისჩან!

**ნიკო.** აქ დაბლა მე ვარ და მე ვხმაურობ,  
ეურს ვუგდებ თარს და გულით ვხარობ!

**თამარ** (თავისთვის)  
ნიკოა, გუშინ ბაღში რომ ვხანე.—  
აქ მოსწონი არაფერია  
და მით უფრო რომ სიმდურის კილო  
არ ახლდა — ძველის ძველია!

**ნიკო.** მე არა ვსტეუი და არც ვზირფერობ!  
ეგე სიმდურა მით უფრო მომწონს,  
რომ შეეგარებულს გულსა ამხნევეს  
და იწვევს, შევბ ბრძოლაში ჰბოვოს!  
მეც გამამხნევა შენმა სიმდურამ,  
მიტომ თამამად გთხოვ წიგნის ზსუხს;  
გამაკებინე, ნუ დამიფარავ,  
რა მომისაჯე შენთვის წამებულს?

**თამარ.** მე მოგისაჯე?— მე რა სექმე მაქვს?

**ნიკო.** ნუ, მაგრე ცივად ნუ მასმენ სიტყვას!

**თამ.** მაშ ამ წერილით ზსუხს გაიკებ!

(წერილს ჩამოაგდებს და შიგნით შედის, ნიკო წერილს  
ხელში იჭერს. საჩქაროდ ჰხსნის და ჰკითხულობს).  
„რადაც ძალა ჩემ წარჩ გულს შენსკენ იტაცებს  
„და ამ წერილის მეხებიდ იგი გიცხადებს  
„რომ საშუალოთ ეგვარები მათზე ძლიერად,  
„ვისაც კი ვინმე ჰეგვარებია ამ ბედგრულ ქვეყანად.

ახვალ სლამოთი ბაღში მოდი, იქ გინახულე.  
**ნიკო.** (დაფიქრდება და შემდეგ აღტაცებით იტყობს)  
ოჰ, სისარულო! ოჰ, წყარო ხარ ნეტარებისა!  
თუნდა ვიცოცხლო მე მრავალი ათასი წელი  
და სულ მის ახლო, მის გვერდითა ვიმყოფებოდე,  
ვფიცავ, ჩემ აღერსს ბოლო მანც არ მოეღება!  
(შემოდის არჩილი, უკან რამდენიმე მეგობარი მოსდევს)

**არჩილ.** შენ მაგრე გრძობით ვისთან ჰბაახობ?

**ნიკო.** ოჰ, არჩილ, შენა?— რა გკითხება?

**არჩილ.** მითხარი ჩქარა, გამაკებინე!

**ნიკო.** მეტად ძნელია მაგის გაკება!

ეგ აქ მე ვიცი და მალა შეცნამ...  
მაგრამ ეს მითხარ, რისთვის განჩინებდი?  
ეგ არ შეჭყურის ჩემს ძველს მეგობარს!  
სულს რად იშოფოთებ, ძმაო დამშვიდდი!

**არჩილ.** ეს ჩემი გული არ დამშვიდდება

და მეგობრობის ძაფიც გაწელება,  
ეჭვი შექნჯნავი თუ გამართლებდა.  
მე მაშინ მხოლოდ მტერი ვაქმნება,  
მტერი მოსისხლე და უღმობელი!

**ნიკო.** სიტყვებს კი აზობ, მაგრამ რას ჰხნაშნავს  
გბებებს მათი არს მეტად ძნელი!

**არჩილ.** აი, გაიკე! ამ სახლში სცნოვრობს  
ჩემი მნათობი და სუფარელი  
და შენ უფრთხილიდი უღვთო ეჭვებს...  
ჰო, ხომ მიმიხვდი ჩემს სიტყვებს?

(ნიკო სიცილით გადის. არჩილი გაბრაზებული თვალს  
გააყოფებს)

**არჩილ.** მაკ სანიზანმა სასაცილოდ ამიგლო კიდე?  
მიფრთხილიდი, ნიკო, ჩემს მეტოქეს მტურად ვაქტვე ხოლმე.  
მე იმის სახეს ვაკვირდები რა უფრო ღრმად,  
შავი თვალებით აშკარავებს თამარს სიყვარულს  
და წინაღვე ვგრძობ, ეგ იქმნება ჩემი მეტოქე.

(შემოდის თამარ-მათხოვარი, უკან ორი შვილი მოსდევს.  
თამარ არჩილთან მივა მოწყალების სათხოვნელად და არ-  
ჩილი ისე გადის, რომ უურადლებს არც კი აქტვეს)

**თამარ.** აი შვილებო, აქ სცნოვრობს ღვეან მდიდარი,  
მას ჩვენსედ ბევრჯელ მოუღია დიდი წყალობა,  
აქეთ მოდიან!

(შემოდის ღვეან და არჩილი)

**ღვეან.** დიდ ბოდიშს ვინდი იმ დღევანდელ უარის  
თქმაზე.

და ვერც გიცნაით, თუ მთხოვნილი თქვენ ბრძანდებოდი!  
მე იმ დროს ვიყავ რადაცაზე გაჯავრებული  
და არ მესმოდა, ჩემი ენა რასაც ამბობდა!

**არჩილ.** თუ თქვენ იმ თხოვნას აღმისრულებთ...

**ღვეან.** გაძღვეთ სიტყვას!

შეირთე, შვილო, ჩემი ქალი, გაბედნიერდით.

**თამარ.** უფალი იყოს თქვენი შემწე, თქვენი მოფრველი!

**ღვეან.** თქვენ ჩაბარებთ ჩემს სიმდიდრეს, ჩემს ქონებას,  
რადგან მეშვიდრედ ჩემ შემდგომად ჩემი ქალი  
და ის ქალი კი სულთ, გულით თქვენ გაეუთვნება!





**ვასილ.** მამა, ეგენი ურადლებას არც კი გაქცევენ.  
**თომა.** უფალი იყოს თქვენი შემწე, თქვენი მფარველი!  
 (ლეკანი მოწყალებას აძლევს და თომა თავის შვილებით  
 გადის)

**ლევ.** თავადიშვილო! მკრე ძლიერ რამ ჩაგაფიქრათ?

**არჩ.** ოჰ, ასე ძლიერ ჩამაფიქრს იმ მოფლენამ,  
 რომელმაც გული გაანათა, სხივი მოჭიფინა!  
 ჩემი სურვილი აღმისრულდა, ოჰ სისარულა!

**ლევან.** თავადიშვილო, შევიდეთ სახლში  
 მკ სკანსუკად ვიღანაჩაკათ;  
 და რაც დავსკვანათ, იგი შემდეგში  
 სისრულეშიაც ჩვენ მოვიყვანათ!

**არჩ.** მიბრძანდი თქვენ წინ, მეც გამოგვყვებით!  
 (გადიან).

**ა. შანშიაშვილი.**

(შემდეგი იქნება)



**ჰ ე ი ნ ე ლ ა ნ.**

დღით გიგზაზნი ღამაზ იებს,  
 დღით ტუეში დაკრეფილებს,  
 და ვარდებსა საღამოთი,  
 რაცა ღამის ბინდი შღის ფრთებს.

იცი, ამით რას ვგულისხმობ  
 და რა მინდა გაგატყნო?  
 დღით ერთგული იყო ხალხე  
 და ღამ-ღამე მკაცრა, მკაცრა!

**ი. მკედლიშვილი.**



**ლიტერატურული საღამოს შესახებ.**

8 მაისს, ქართულ თეატრში ბ-ნმა გრიგოლ  
 რობაქიძემ გამართა ლიტერატურული საღამო, შემ-  
 დგის გეგმით: ვაჟა-ფშაველა: „კლდის ქალი“ და  
 «სიმღერა» (ლექსები), ნ. ლორთქიფანიძე: «უკვდა-  
 ვი გველი» (ლეგენდა), ილ. ელფთერიძე: „სიყვა-  
 რულის ყვავილი“ (ნოველა), გრ. დიასამიძე: \* \*  
 (ესკიზი), კ. მაყაშვილი: «მხეცი და მხატვარი»  
 (ლექსი), ლევ. მეტრეველი: „ჩანგის კვნესა“ (მე-  
 ლოდია), გრიშაშვილი: \* \* (რომანსი), ივ. გომარ-  
 თელი: «ვახტანგ ორბელიანის პოეზია» (მოკლე  
 ლექცია), ა. შანშიაშვილი: «სუმბული» (ლექსი),  
 გრ. რობაქიძე: „რუსთაველის შემოქმედება“ (ლექ-  
 ციის ნაწილი). ამით გარდა სხვებიც იყვნენ დასა-

ხელებულნი, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისაგან  
 ნაწილობა ვერ მიიღეს. საღამოს გეგმაში მხოლოდ  
 ლისხმიერო იყო და საზოგადოებასაც საკმაოდ მოე-  
 ყარა თავი თეატრში. „საკმაო“-ს რასაკვირველია აქ  
 შედარებით ვგულისხმობთ, თორემ ასეთ დიდ ქა-  
 ლაქში, როგორც თბილისია, რომ უკუღმართობა  
 არ იყოს გამეფებული, პატარა თეატრმა ან-კი როგორ  
 უნდა დაიტოს მსმენელთა რიცხვი? მაგრამ ასე გა-  
 ნებივრებული არა ვჭყევართ გარემოებას და „სა-  
 კმაო“-ს ვეძახით იმასაც-კი, რაც შედარებით მცირედ  
 უნდა ითქმოდეს.

ასე იყო თუ ისე, საზოგადოება ყურადღებით  
 უსმენდა საღამოს მონაწილე პირთ, რომელნიც თავ-  
 თავიანთ ნაწარმოებს ჰკითხულობდნენ სცენიდან.  
 თვითუღლად არ გამოეუდგებით წანაკითხის დაფასე-  
 ბას, ოღონდ წარმოვსთქვამთ რამოდენიმე საერთო  
 მოსაზრებას. საზოგადოდ, საღამო არ იყო უფერუ-  
 ლი, როგორც ზოგიერთმა გაზეთებმა უკიჟინეს და  
 პირიქით, ძალიან საგულისხმოც იყო; მით უფრო  
 რომ ეს პირველი მაგალითი იყო, და ამიტომაც რა  
 გასაკვირველია, რომ ზოგიერთი ნაკლიც ჰქონდა,  
 რომელიც ჩვენს პირობაში და გარემოებაში მყოფ  
 ერს სრულებით ეპატიება. ხშირად ზოგიერთებს,  
 თითქოს ქება არ ემეტებათ და გაკიცხვა-კი უფრო  
 ეხერხებათ. ამასთანავე, თუ როგორმე სასაყვედურო  
 მხარე აღნიშნეს, ეს სრულებით საკმაოდ მიაჩნიათ  
 და დანარჩენს აღარას დასდევენ. ჩვენ სრულებითაც  
 არა ვართ გადაჭარბებული ქების მომხრე, მაგრამ  
 მარტო წუნიაობითაც არაფერი არ გაკეთდება და  
 ამიტომაც მარტო ეს არ არის საკმარისი საქმის და-  
 საწინაურებლად. ვინ არ იცის, რომ საფრანგეთის  
 დედა-ქალაქ პარიზში უკეთესი საღამოები გაიმართე-  
 ბა ვიდრე თბილისში, მაგრამ განა ეს გასაკვირვე-  
 ლია?! იქ, სადაც განათლება, როგორც იტყვიან,  
 „სდულს და გადადის“ და სადაც ყოველივე ხელს  
 უწყობს ნიჭისა და ცოდნის განვითარებას, რასაკვი-  
 რველია, მწერალიც უფრო ხელოვანია და მისი ნა-  
 წარმოებიც უფრო თვალსაჩინო. ასეთ ბედნიერთ მე-  
 ტიც მოეთხოვებათ. მაგრამ რა უნდა ჰქნას ჩვენ გა-  
 რემოებაში მყოფმა მწერალმა, როდესაც მას ყოვე-  
 ლივე კუთხით დაბრკოლება ატყდება და არაფერი  
 არ უწყობს ხელს სამწერლო ასპარეზზე დასახე-  
 ლოვნებლად. სხვა, უფრო იღბლიან ქვეყნებში ხში-  
 რად მარტო მწერლობას იხდის ადამიანი სამუშაო  
 საგნად და გარემოებითაც და ქონებრივადაც უზრუნ-  
 ველყოფილია. თუ სურვილმა და ხალისმა არ უმტ-  
 ყუნა—მას სხვა ვერაფერი დააბრკოლებს. ჩვენში-კი  
 ესევე გზა სულ სხვაგვარია. აბა, ვის შეუძლია, ჩვენში  
 სამწერლო ასპარეზზე დაუბრკოლებლად იმუშაოს და  
 შიმშილის მწვავე კლანჭებსაც თავი დააღწიოს, თუ  
 იმდენად გაკადნიერდა, რომ მარტო სამწერლო მო-  
 ღვაწვობით განიზრახა ცხოვრების ქაპანში ჩაბმა?!  
 რასაკვირველია, არავის. ყველაფერს უფრო მეტი



გასავალი აქვს ჩვენში, ვიდრე ასეთ კანდიერებას და ამიტომაც სამწერლო მოღვაწეობა, გარდა თითო-ორი პირისა, ჩვენში სასხვათაშორისო საქმედ არის გადაქცეული. და ამის ბრალი თვით მწერალს კი არ მიუძღვის, არამედ მრავალ ღუბჭირ გარემოებას, რომელთა აშორება ყველას არ ძალუძს და ვერც მოეთხოვება... პირიქით ჩვენ განსაკვიფრებლად მიგვაჩნია, კიდევ როგორ ახერხებს ზოგიერთი ქართველი რისამე წერასა და შეთხზვას, როდესაც თვითველი მათგანი ჩაბმულია ცხოვრების მწარე უღელში, რომლის აპეურიც ვერაფრად სხვისაგან არის დაგრეხილი და სამართიც გარეშე ხელს უბყრია. არაფერი მის სურვილს აღარ ემორჩილება: ენაც გარდაქმნილი აქვს—მას თავისებური ტრიალი აღარ ეადვილება და კალამიც, სხვაგნებურად გაწვრთნილი, ნაძალადევი გრეხილებს შეჩვეული, თავისუფლად ველარ მოძრაობს მის ხელში. ეს შეუსაბამო ნაკლი მეტყველებასაც უძნელებს მწერალს და შემოქმედებაც მისი, საერთო უფერულობის წყალობით, ზანტი და შებორკილია. მხოლოდ ძლიერ მათ შორის, ისიც ათასში ერთხელ შეუძლიათ წუთიერად თავის დაღწევა, აღმაფრენის მსწრაფლ შეთამაშება, მაგრამ ასეთი ბედნიერი წუთები სწორედ რომ საიშვიათონი არიან, და მათ ეკუთვნის ის საგულისხმო მარგალიტებიც, რომელნიც უკანასკნელ საუკუნის ქართულ მწერლობაშიაც მოიპოვებინან. ჩაყენეთ ასეთ პირობებში, რომელიც გნებავისთ, მეტად განვითარებული ერიც და იგიც მსწრაფლ დაეშვება იმ სიმალიდგან, რომელიც მისთვის დაწინაურებულ გარემოებას და თავისუფალ წარმატებას ურგუნებია. ეს აუცილებელია და ამას კაცობრიობის ბუმბერაზნიც ვერსად წაუვლენ...

ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ცოტად ავსცდით საბაასო საგანს, მაგრამ სწორედ ეს ფიქრი უნდა გავგეზიარებინა სხვებისთვისაც, რადგანაც ამაზედ ვამყარებთ ჩვენს დასკვნას ამ სალიტერატურო საღამოს შესახებ. შემოხსენებული გარემოება ყოველთვის გვაგონდება, როდესაც ქართულ მწერლობის ნაწარმოებს ვაკითხულობთ ან ვისმენთ.

8 მაისის სალიტერატურო საღამოზედ ბევრი რამ იყო საყურადღებო. ზოგიერთი ნაწარმოები მართლაც რომ სასიამოვნო მოსასმენი იყო, როგორც ხელოვნების მხრით, აგრედვე შინაარსითაც. სამწუხაროდ, ზოგის წინაქიხი კარგად არ ისმოდა, მაგრამ ყოველი მწერლისათვის სავალდებულო არ არის მკვეთრი, იერიქონის საყვირისებური ხმა, და ამისათვის ვერავის გავამტყუნებთ. სამერმისოდ შეიძლება სავალდებულოდ აღარ გახადონ ყოველი დამწერი, რომ უთუოდ თვითონ მან წაიკითხოს თავისი თხზულება. როდესაც დამწერს სათვატრო ხმა არ აქვს, შეიძლება წაკითხვა სხვასაც დაევალოს. ისე კი საამო მოსასმენი იყო, როდესაც ხელდავდა ადამიანი, რომ ყველას თავისი წვლილი მოეტანა ხელოვნების

ტადარში საზოგადოების გასართობად, და ამ მხრით მათ მადლობის მეტი არა ეთქმისთ-რა. საზოგადოებას ყურადღებით და ხალისით ისმენდა. თუცა ამასაც ამბობდნენ, რომ ზოგიერთები დაილაღნენო. მაგრამ ეს ერთის მხრით იმასაც მიეწერება, რომ ზოგიერთი ქართველის სმენა ვერ იტანს ხანგრძლივად ქართულს ენას და შედარებით უფრო მსწრაფლად იქანცება ამ ენის მოსმენით, ვიდრე მაგალითად რუსულით. ჩვენ აქ, რასაკვირველია, ვერ დავსწამებთ სასმენელ იარაღს—ყურს განსაკუთრებულ აგებულებას ამა თუ იმ ენისათვის, მით უფრო, რომ ას წელიწადში, ძალიანაც რომ ცდილიყვნენ, იგი ანატომიურად ვერ გადაკეთდებოდა, მაგრამ ჩვეულებას რომ ბევრი შეუძლია—ესეც ყოვლად უეჭველია! და უთუოდ აქაც შეუჩვევეული ენის ბგერამ თუ დაღალა ისინი! მაგრამ ლიტერატურულ საღამოს ამაში ხომ არაფერი ბრალი არ მიუძღვის!...

საღამოს გასაცხოველებლად საჭიროა შემდეგისათვის ჰუსიკის დართვაც. ანტრაქტების დროს შერჩეული მუსიკა ბევრად უფრო გამოაფხიზლებს გრძობას და სასიამოვნო შთაბეჭდილებად ჩარჩება მსმენელს. მით უფრო საჭიროა ეს საერთო სედიანობისა და ძარღვებ-აშლილობის დროს. ამ საღამოსაც ბევრს ძალიან ემჩნეოდა რაღაც მძიმე ლოდად დაწოლილი გრძობა, რომ საერთო ოჯახის ზოგიერთ წევრებს არ შეეძლოთ დასწრება...

შემდეგისათვის საჭიროა აგრეთვე ცოტა საოხუნჯო მასალის ჩართვაც, მაგრამ ისე, რომ ეს საოხუნჯო მასალა შეჭფეროდეს საღამოს საერთო მიმართულებას და სიდინჯესაც მოკლებული არ იყოს.

დასასრულ, ჩვენ მიინც კმაყოფილებით ვიგონებთ ამ საღამოს. იმედიც გვაქვს, რომ ამგვარი სალიტერატურო საღამოები შემდეგშიდაც გაიმართება. და თუ თვითველი წევრი მოინდომებს საკუთარის წვლილის შეტანას ასეთ საქმეში, ზოგი პირადის მონაწილეობით, ზოგიც ცნობისმოყვარეობით—ეს საზოგადოებისთვისაც საგულისხმო იქნება და გასართობის ერთ-ერთ საპატიო დარგადაც დაისახება ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში. ეს მით უფრო საჭიროა ჩვენთვის, რადგანაც ყველგან ფეხი აქვს აღგებული ჩვენს ენას: სასწავლებელში, ყოველ დაწესებულებაში, კრებებზედ, კერძოდ ოჯახში და საერთოდ ცხოვრებაში... ამიტომაც ლიტერატურული საღამო, ხელოვნურად ჩატარებული და კარგის ქართულით გამშვენებული, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს საზოგადოებას ამ ცვალებადობისა და გადაგვარების დროს, მეტადრე იმ წევრთ და მომავალ თაობას, რომელთაც ჰსურსთ სამშობლო ენის შესწავლა...

მოუღრეკელი.





# ნუსკალ ხანი

ისტორიული მოთხრობა.

(გუძღენი ძმებს კოტეს და მიტოს).

## IX

—:—

საშინელი ზარი იდგა სოფელ ომალოში. მთელ სოფელს: დიდს, თუ პატარას, ქედოსანს, თუ მანდილოსანს ომალოელს სახლის წინ, მოედანზე მოეყარა თავი. მანდილოსნებმა, გაიგეს, თუ არა, რა, მიზეზით მოიკლა ტირინემ თავი—საშინლად წიოდნენ, იგლეჯდნენ თმას, იკაწრავდნენ პირისახეს და ვარდებოდნენ უბედურ ქალის დაჩხილ გვამზე. ტირინემ არჩია ნამუსიანი სიკვდილი უნამუსო სიცოცხლეს, რომელსაც მოელოდა ნუსკალხანის ხელში. ყრილობის გადაწყვეტილება იყო საშინელი შეურაცყოფა, დამცირება არამც თუ მარტო ტირინესათვის, არამედ ყველა თუშების მანდილოსნებისათვის.

— წაიყვანეთ, სახელოვანო ვაჟაკებო, ჩვენო მამებო, ძმებო და ქმრებო! აღშფოთებული მივარდა ერთი მანდილოსთავანი მამაკაცებს, რომელნიც გაქვავებული და თავჩაღუნულნი იდგნენ მოედნის განაპირას,—რატომ არ მიგყავთ ლექთან, რომ აღუთქვით—მზათ არის ტირინე საქორწილოდ, საპატარძლოდ!.. რას მოწყენილხართ, ცხენები სად გყავთ, მაყრად არ გაჰყვებით?!

შეგიტყვევთ ვაწკაცობა, მივარდა ერთი დიაცი.—რისთვისა გხურავთ ეგ ქუდები, რისთვის გასხიათ ყბაზე ეგ შერცხვენილი წვერ-ულვაში, რისთვის ატარებთ მაგ დაქანგებულ ხმლებს, თუ ვერ დაიცვამთ თქვენ დედებს, ცოლებს და შვილებს, მათ ნამუსს, მათ პატიოსნებას?!... თუ თქვენ არ შეგიძლიანთ, თუ მშიშარ ტურებათ გარდაიქცით, ჩვენ დავიცავთ ჩვენ თავს, ჩვენ ნამუსს... აჰათ, წამოიძახა დიაცმა: მოიგლიჯა თავიდან მანდილი და გადუგდო კაცებს,—დაიხურეთ, წადით შინ და მიუსხედით კერას, იარალი-კი ჩვენ გარდმოგვეცით!..

— თუშეთის გაჭირვებამ მოითხოვა ყრილობის ამნაირი გარდაწყვეტილება, უნდოდა გაემართლებინა ყრილობის გარდაწყვეტილება ერთს კაცთავანს.

— მერე რათ გინდათ თქვენი შვილების ნამუსით შესყიდული თუშეთი?!—გესლიანათ შეჰყვირეს მანდილოსნებმა.

სახე ანთებული და გულ-ამღვრეული მანდილოსნები მსცვივდნენ კაცებს და ისე იწეოდნენ ზედ, თითქო სურდათ კლანჭებით სუ ჩამოეგლიჯათ, ჩამოეკაწრათ მათვის ცხვირ-პირი.—ტირილი, გოდება, წივილ-კვილი ყველა ეს საშინელ გულ-მოსაკლავ ზარსა სცემდა იმ არე-მარეს.

ამ დროს ხალხში გამოჩნდა ფრიალ მოხუცებული გოი. მხარში ამოძვდარ შვილს მოჰყვანდა ყა-

ვარჯენზე დაბჯენილი. სიბერისაგან ისე მოხრილიყო წელში ეს მოხუცი, რომ თავი კინაღამ ეხებოდა ბოდა, გამხმარ, ძვლად გარდაქცეული მსხვილი ჰვარავდა მთლად ნაოჭებად გარდაქცეული, სიწითლე დაკარგული კანი, რომლის ქვეშ გარკვევით გამოსჩანდა თოკებივით გაჭიმული ლურჯი ძარღვები. ჭაღარა თმა და წვერ-ულვაში გაჰყვითლებოდა და მის მიმქრალ თვალებს ჰვარავდა იგრევე გაყვითლებული ჭაღარა წამწამის გძელი ბეწვი.

რომ გეკითხნათ მოხუცისათვის, თუ რამდენი წლისა იყო, ვერ გიპასუხებდათ; მხოლოდ გეტყვოდათ, რომ ამა და ამ მეფემ რომ გაილაშქრა თათრებზე, ან ლეკებზე, ან რომ თუშეთს ლეკები, ან ქისტები შემოესივნენ, წვერ-ულვაშ ამწვანებული ჰაბუკი ვიყავიო. იმ დროის მესხიერი-კი არავინ აღარ იყო, გაგონებით თუ არა, არავინ არ იცოდა. მთელ თუშეთში გოის პირადად თუ არ იცნობდნენ, სახელი მისი-კი ყველას გაგონილი ჰქონდა. თავის დროს გამოჩენილ ვაჟაკს, ბევრი დროების ვითარების ქარ-ბუქი, ჭირი და ვარამი გამოეცლო გოის. ისიც-კი არ ახსოვდა, თუ რამოდენ ომში, რამდენ დაღესტანზე, ან ქისტებზე თარეშობაში მიეღო მონაწილეობა. მხოლოდ მრავალი ჭრილობა მის ტანზე ამტკიცებდა, რომ ბევრი ბრძოლის ცეცხლი ენახა. ეხლა დაუძღვრებული ათაგებდა თავის ხანგრძლივ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს შინ თავის ცეცხლის კერასთან. ხან და ხან, თბილ დღეს თუ გამოვიდოდა გარეთ და დაჯდებოდა მზის ყურროში, რომ მზის მადლიან თბილი სხივებით გაეზობო ძვლები. დიდის პატივით ეპყრობოდა ყველა დიდი თუ პატარა თანამომემ ამ მოხუცს, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღოდა თუშეთის წინაშე.

დანიხეს მომავალი გოი თუ არა, ყველამ მოწიწებით გზა მისცა.

— აბა მაჩვენეთ, შვილო, სად არის ის უბედური დიაცი, უთხრა შვილს მოხუცმა.

ნელის ნაბიჯით, ცანცალ-ხანხალით შვილმა მიიყვანა მამა გარდაცვალებულთან.

— ოჰ, როგორ გაჩხილა უბედური, წარმოსთქვა მოხუცმა, რა დაჰხედა ტირინეს გვამს. კარგა ხანს დაჰყურებდა გოი დამსხვრეულ, ცხვირ-პირ ჩაღეწილ და ტვინ გამონთხეულ ტირინეს გვამს. ვაჟაკის გული სიჭაბუკეში რაც უნდა მაგარი და გაუტყეხელი იყოს, სიბერის დროს ტყდება, ჩვილდება. მსხვილ-მსხვილი ცრემლის ნაკადული ჩამოსდიოდა თვალებიდან მოხუცს და ლოყების ნაოჭებში შეგუბებული წურ-წურით ჩამოსდიოდა წვერ-ულვაშზე.

— მუხლები შეკეცება, წამიყვანე, შვილო, და დამსვი სადმე, უთხრა გოიმ შვილს.

შვილმა გაიყვანა მამა და დასვა იქვე ახლო ერთ ქვის ყორეზე.



— ვაჰ, ჩემო თავო, რა უბედურ დროს მოესწარი, დაიწყო მოთქმა გოიმ, — ნუ თუ ამოდენა ხანი იმისთვის ვიცოცხლე, რომ მენახა ჩემი ქვეყანა მტრისგან ამნაირად შეურაცხყოფილი, ფეხქვეშ გათელილი... თუშეთი აძლევს მტერს ხარკად ღია ცეცხლს — თავის შვილებს... ოჰ, სირცხვილო! ნეტავ რად ვარ ეხლა ცოცხალი, რად ვხედავ, რად მესმის ყველა ეს? რატომ არ მოგვკვდი, არ მოვშორდი ამ მირემორე სამწყვოს მაშინ, როდესაც არწივებივით გადახულავდით ხოლმე და დაღესტანას ვით ჭილყავებს ზარსა ვცემდით მაგ მურდალ მშვიერ ლეკებს!.. ეჰ, ვინ იცის, როგორ დაგვცქერიან ეხლა ჩვენი სახელოვანი წინაპრები, როგორ გული სტკივთ, რომ მათი საყვარელი მიწა-წყალი მტრისაგან ასე ილახება... როგორ ზურგს შემოგვიბრუნებენ და ზიზლით შემოგვხედავენ, როდესაც წარუდგებით სულეთში... არა... წამიყვანე, შვილო, დაასრულა მთრთოლარე ხმით მოხუცმა, — წამიყვანეთ ისევ შინ, რომ ჩემი უბედური თვალები ვეღარ უმზერდნენ მზეს...

შვილი ამოუდგა მხარში მამას და ნელის ნაბიჯით წაიყვანა შინ. გამოჩნდა გიორგი საბელით ცხენით ხელში დაჭერილი და დაინახა თავის სახლის წინ ყორნის ხროსავით მოგროვილი მტირალი მანდილოსნები თუ არა, ელდა ნაცემივით შესდგა. ვერ მიხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა იმოდენა ხალხის მის სახლის წინ მოყრა და ტირილი, გული კი რაღაც საშინელებას აგრძნობინებდა. თითქო ეშინოდა, რომ მისულიყო და გაეგო, ეკითხნა ვისმესთვის მიზეზი ხალხის მოყრისა, იღვა თავბრუ დასხმული, გაფითრებული და არეული. თვალები მიეპყრა ერთ ალაგისაკენ.

— მანდ რასა დგებარ, გიორგივ, არ ნახავ შენ დას — ტირინეს?!.. დაჰკრეს ზარი მანდილოსნებმა, დაინახეს გიორგი თუ არა.

გულის სიღრმიდან საშინელი ქვითინი ამოუვარდა ომალოელს. ვაჟები მივიდნენ დასამშვიდებლად. გიორგი მივიდა ცხედართან. აქ მანდილოსნებმა უფრო საშინლად დაიწყეს წივილ-კივილი. ძმა ადგა თავს დაჩეხილ დას და მწარედ ქვითინებდა. ვაჟები ამშვიდებდნენ, უნდოდით გაეყვანათ იქიდან სადმე მოშორებით, მაგრამ ჭირისუფალს არა ესმოდა-რა. ვინ იცის, როდემდინ გასტანდა გიორგის ამ ნაირი მდგომარეობა, რომ იმ დროს მოსულ ითაბანულს არ გამოეყვანა ჭაბუკი იმ საშინელ ცეცხლიდან.

— რა დაგმართვია, ვაჟო, უთხრა ითაბანულმა, — რა მივიდა და დაადო მხარზე ხელი, — გეყოფა, აბა გავიდეთ აქედან.

ითაბანულის ხმის გაგონებაზე მთლად შეირყა ომალოელი და შეჰხედა ამ პატიოსან საყვარელ კაცს თუ არა, რაღაც გულის დამშვიდება იგრძნო, ითაბანულმა გაიყვანა ჭირისუფალი ვაჟებთან.

— როგორ გაგტყდომია გული, უთხრა ითაბანულმა, — გაიხედ-გამოიხედ ამ ჩვენს სიკვდილით

\*) ნაწილარი — საქონლის სადგომი მინდორში ან მთაში.

მორწყულ და მკვდრების გვამები მოკენჭილ თუშეთს, ტირინეს სიკვდილი მთელი ხედიდან უბედურების მხოლოდ ერთი წვეთი ღია ცეცხლს, აღფრთოვანებით დაასრულა ითაბანულმა, — რომ თავის პატიოსნებას, ნამუსს თავსა სწირავენ. მხოლოდ ამისთანა დედებს შეუძლიანთ გამოზარდონ ნამდვილი მამულის შვილები, ტირინე არ მომკვდარა, მისი სახელი სამაგალითოდ დარჩება საშვილის-შვილოდ!..

— აბა, ვაჟებო, ვინ წამომყვება კახეთში, მიუბრუნდა შემდეგ ითაბანული იქ შეკრებილ ვაჟებს, — გიორგი ვეღარ მოიცილის,

— რატომაც ვერ მოვიცილი, სთქვა ითაბანულის სიტყვებზე გონს მოსულმა ომალოელმა.

— როგორ წამოხვალ, ვაჟო, უთხრა ითაბანულმა, — ჭირისუფალი ხარ, ცხედარს პატრონობა უნდა.

— სოფელი დიდია, უპატრონებს, სთქვა გიორგიმ და წავიდა შინისაკენ, რომ სამგზავროდ მომზადებულიყო.

ბევრ ხანს არ დააცდევინა ომალოელმა თანამგზავრს; მოვიდა იარაღებში ჩამჯდარი და, რა გარდასცა ცხენი ერთ ვაჟს, მივიდა დასთან უკანასკნელად გამოსამშვიდებლად. კარგა ხანს უცქირა გიორგიმ ტირინეს გვამს. თითქო იმისთვის, რომ კარგა დაესომებინა საყვარელი დის სახე. ბოლოს დაიჩოქა მხურვალედ აკოცა გაციებულ გვამს, და ამოიკვნესა.


— დამშვიდდი, დაო, ვფიცავ შენ წმინდა სულს, რომ ძვირად დაუსვამ ლეკებს შენ უმანკო სისხლს... მშვიდობით, ტირინე, იქნება მეც ჩქარა მოგეწიო!.. ძმის ცრემლის მღულარე ნაკადული შეერია დის შეციებულ სისხლს...

## X.

მწუხრის ბნელი ზეწარი გადაეფარა სამშობლო ცას. მის სივრცეში თრთოდნენ ვარსკვლავები და დაჰყურებდნენ ცოდვილ ქვეყანას. ბნელოდა, მგზავრს ოდნავ შეეძლო გაერკვია საცაღფებო საშიში მთის ბილიკი.

გზის მარჯვნივ, მთის კალთის ერთ ტაფობაში მწყემსს თუშს გაეკეთებინა ცხვრის ბინა. ოდნავ მბეჭეტავ ცეცხლის პირას იწვა ნაბადში გახვეული, თოფით ხელში თვითონ მწყემსი. მის ახლო ნაწილარზე\*) ეყარა დამძლარი ცხვარი. არ ეძინა მწყემსს. ვინ იცის, რა ფიქრები ირეოდნენ მის თავში, რა გრძნობები უღელავდნენ გულს?!. შეუბრალებელი მტერი გალალელებული დანავარდობდა მის სამშობლოს ნანგრევებზე. ვინ იცის, რა მოუვიდა მის მოხუც დედ-მამას, მის დებს და ძმებს. ცოცხალნი არიან, თუ ჩაეხუტენ მშობელ მიწას. თვითონაც თითქმის ყოველ წუთს მოელოდა მტრის თავ-დასხმას. არ იცოდა ხვალ ცოცხალი იქნებოდა თუ არა. მაგრამ ის თავის სიცოცხლეზე სრულებით არ ფიქრობდა. თავის სიკვ-





დილი არაფრად მიაჩნდა. რა იყო მისთვის სიკვდილი, როდესაც მისი სამშობლო კენესოდა, იყო მორწყული მისი თანამომხმეების სისხლით?!

ძაღვები უცბათ გაექანნენ ისარივით ბილიკისაკენ და საშინელი ყეფა ასტეხეს. მწყემსი წამოვარდა ზეზე, გადაავლო ნაბადი და თოფ მომარჯვებული ამოეთვარა ერთ დიდ ქვას, რომელიც ბინის პირას აყუდულიყო. სმენად გარდაიქცა მეცხვარე.

— ჰეი, მეცხვარევ! გაისმა ხმა.

მწყემსმა ხმა არ მისცა. ძაღვები არიან ლეკები, გაიფიქრა მეცხვარემ, ჩემი მოტყუება უნდათ.

— ჰეი, მეცხვარევ! გაისმა მეორედ.

ზასუხი არ იყო.

— ბინაში თუ არ არის, მოესმა წყემსს.

— ეძინება. ჰეი მეცხვარევ! გაისმა უფრო მკუხარედ.

ჰეი! გაეხმაურა მეცხვარე და დარწმუნებული, რომ მისი თანამომხმენი იყვნენ, გავიდა იმ ალაგს, სადაც ძაღვები ყეფდნენ.

— სადა ხარ, ვაჟო, რატომ არ გამოგვეხმაურე? უთხრა ერთმა მგზავრთაგანმა წყემსს.

— ოჰ, შენ ხარ. ითაბანულ, გამარჯვება, შენც გამარჯვება გიორგი! დაუხვდა მეცხვარე სტუმრებს, — ლეკები მეგონეთ, კაცო. განმარტა ბუნების შეიღმა — ჩვენებურად დაძახება იციან მაგ ძაღვებმა, რამდენიმე ჩვენი მეცხვარე წაუხდენიათ ამ ნაირად.

მეცხვარემ ჩაიყვანა სტუმრები ბინაში და ჩამოართო ცხენები და გაუშვა საძოვრზე, შეუდგა ცეცხლის გაჩაღებას. ბევრ ხანს არ ალოდინა ცეცხლმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ავარდა ალი და მხიარული ტაკა-ტაკი მოედო დეკას და გაანათა მწყემსის ღარიბი ბინა.

— ერთი კარგი მსუქანი ბატონის ყაურმა გავაკეთე ამ საღამოს, გაუმასპინძლდა სტუმრებს წყემსი, გამოიღო ბარგიდან პატარა სამეცხვარო ჩაღხანა და შესდგა ცეცხლზე, და აბა, გიორგი, ერთი შენებურად დაურიე ჩაღხანას და მე ხელად ქუმელს მოვზელავ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვახშიმი მხად იყო. შეუდგნენ ჭამას. გიორგიმ შეჭამა ერთი ნაჭერი ხორცი და თავი დაანება.

— რას შვრები, ვაჟო, რატომ არა სჭამ, გაკვირვებით უთხრა ნასპინძელმა ომალოელს, დაგავიწყდა მეცხვარულ ყაურმის გემო?!

— ეჰ, არა მშინან.

— ბიჭო, რა დავმართნია! წამოიძახა მეცხვარემ, რა დააკვირდა ომალოელს, როგორ დაგღმეჭია სახე, ავად ხომ არა ხარ?

— ამ ვაჟის თავს არის რაღაც, მიუბრუნდა შემდეგ მწყემსი ითაბანულს, შენ მაინც მითხარი, ითაბანულმა უამბო ყველაფერი.

ივ. ბუჭურაული.

(შემდეგი აქნება)

### დამიმონე და გამწირე!

ტურფავ დაწვავ მოგკარ თვალთ

რას გიკრთოდა ბაკეს დიმი,

ერთ მოწვევტილ ვარსკვლავს ჰგავდი

შუბლს გიმკობდა ცისკრის სხივი!

დიმ მკრთოფვარე შენი სხე

ჩემს ნუგეზად დავისხე,

შენდა ტრფობა-სიყვარული

დრმად წრფელ გულში ჩავიმანხე.

მხოლოდ ერთის გადიშებით

შემბოჭე მე უკვლავება,

დამიმონე და გამწირე,

ჩემო სულის ვითარება!

უხილაგი ბადე მტეფარტე,

შიგ გახი ჩემი გული,

რა ვიცოდი მე ბედგრულმა,

დედ მხვდებოდა ესდენ კრული?!

ვ. ალულიშვილი.

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა

უძველეს დროიდან

დამოუკიდებელი ან ოპორს ხანა.

### შოთა რუსთაველი.

„ვეფხვის ტყაოსნის“ საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობა.

XIII

რუსთაველს ღრმად ესმის ხელოვნების, კერძოდ პოეზიის, მნიშვნელობა და იცის ვინც არის მისი ნამდვილი მოსამსახურე — ქურუმი. „მოშაირე“, რომელიც თვის გრძობა-აზრის გამოსახატავად, ცხად-ყოფად, ვერ ახერხებს ჰპოვოს გარეგანი ფორმა, სახე, რომელსაც უჭირს „სიტყვიერი მხატვრობა“, „ველარა ხვდება ქართულსა“ და რომელსაც «უწყება ლექსი ძვირობას», — ასეთი მოშაირე, შოთას შეხედულებით, „მოშაირე“ არ არის. მართლაც, რაც გინდ გენიოსური და ღრმა იყოს აზრ — იდეა, თუ არ იქმნა მშვენიერს ფორმაში ცოცხლად, თავისუფლად, ძაღდაუტანებლად და ნათლად გამოხატულ-განხორციელებული, — ის მხატვრობითი ნაწარმოებად არ ჩაითვლება. უსაჭიროესი მასალა აზრთ-გამოხატვისა „სიტყვაა“. და სწორედ მოშაირე იმდენად დიდია, რამდენად მას არ დაეტყობა „სიტყვა-მცირობა“, რამდენად მრავალ გვარად და მრავალ ფერად ხმარობს უსაჭიროეს მასალას — „სიტყვას“. პოეზიას იმისთვის უჭირავს პირველი ადგილი სხვა ხელოვნებათა შორის, რომ მას შეუძლია გამოხატოს, და უკეთესადაც, სუყველაფერი ის, რისი გამოხატვა შეუძლიან: ხუროთ-მოძღვრებას, ქანდაკებას, მხატვრობას და მუსიკას. პოეზია ჰხატავს ყოველგვარ საგნებს და ქვეყნიურ მოვლენათ; შეუძლია შეუდარებლად გადასცეს სხვა და



სხვა გვარი გრძობა და სულიერი მოძრაობა, ერთის სიტყვით პოეზიას ძალ-უძს ერთნაირად დაგვიხატ-დაგვისურათოს ხილული და უხილავი სამყარო, წარსული, აწმყო და მომავალი და სხვა და სხვა სულიერი მოძრაობა და განცდა. და ასეთი უპირატესობა პოეზიას იმისთვის არგუნა ბედმა, რომ ის მასალად ხმარობს ადამიანის სიტყვას, რომლის შემწეობით (ვისაც კი მისი ხმარება შეუძლია) ყოველგვარი მოვლენა, მდგომარეობის და აზრ-საგნის დასურათ-ხატება შესაძლებელია. როგორც ცხენის ღონე—ამტანობას გამოცდის „მარა გრძელი“ და „დიდი რბევა“; მობურთალის სიმარჯვე-სიტყვიტეს და ღონეს—მოედანი, მართლა ცემა, მარჯვედ ქნევა»,—ისე მოლექსის ნიჭის სიძლიერე-სიღრმავეს—რთულ და ფართო პოეტური დასურათება და გრძობებისა, ან და, როგორც რუსთაველი ამბობს, — „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. ნიჭიერს პოეტს არასდროს არ უნდა „მისჭირდეს საუბარი“ და არ უნდა «დაუწყოს ლექსმან ლევა». —სანამ პოეტი ხორცს შეასხამდეს რომელიმე ქმნილებას, ე. ი. სანამ კალამს ხელს მოკიდებდეს, მის სულში ეს ქმნილება მზად არის. ხორც-შესხმა, დაწერა მისთვის სამძიმო არ არის. ფანტაზიაში უკვე აღბეჭდილ სახის გადატანა პოეტისთვის ადვილია. პოეტი სრულეობით არ საჭიროებს ამ დროს ხელახლად ღრმად ჩაუკვირდეს ქმნილებას, ასწონ-დასწონოს ის: ახლა პოეტი თავისუფლად ახორციელებს მხოლოდ იმას, რაც უკვე შექმნილია მის სულში ფანტაზიის შემწეობით. მაგრამ ასეთი შემოქმედება შესაძლებელი და ბუნებრივია მხოლოდ ნიჭიერ და «ზეგარდმო მადლით ცხებულ» პოეტისათვის, რომელსაც თავისუფლად ემორჩილება «სიტყვა» და «ლექსი» თავიანთი ჰარმონიით და მუსიკალობით.

ძალდატანება პოეზიაში უნაყოფოა. ხელოვნურად, შრომით და მეცადინეობით ჭეშმარიტ პოეტად გახდომა შეუძლებელია. საჭიროა მომადლებული ნიჭი. შოთა ამბობს «თავი ყველას ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი, განაღამ სთქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი». ნამდვილ ნიჭის პატრონი თავმდაბალია; არ ყოყმობს, თავს მალლა არ იწვეს; თავი არ მოაქვს ნიჭით, განვითარებით; ყოველივე სამართლიან შენიშვნა განმარტებას მადლობით იღებს. უბრალო მომაკვდავი და შუათანა ნიჭის პატრონი კი ხშირად ტრაბახია, მყვირალა, ეფექტებს მისდევს, სცდილობს თვალი მოსჭრას, ყური გამოაყრუოს ფრაზების გუნდაობით და რახარუხით. შენიშვნას, დარიგებას და მით უმეტეს, მხილებას ის არ იკადრებს: «ჩემი სჯობსო: უცილობლობს ვითა ჯორი». არიან მეორე ჯურის პოეტები. მათ არ აკლიათ შემოქმედებითი ნიჭი; გულშიაც უღვივით პოეზიის ნაპერწკალი: ხან და ხან აღმა ფრენაო ეხერხებათ...

მაგრამ ყველა ეს თვისებები მათში სუსტად არის ჩასახული. ამისათვის ფრთების გაშლა მათ ფანტაზიას, ლალი ნავარდი მათ აზრს და უკვდავი შემოქმედება მათ ნიჭს საზოგადოდ არ ძალ-უძს. «არ ძალ-უძს სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა, გამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა: დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქვსთ ხოცვა ნადირთა მცირეთა».

როგორც ყოველივე უსრული, დაუმთავრებელი, სუსტი—ასეთის ნიჭის პოეტები, რომლებიც ვერ სამუდამო დაღს ვერ დაამჩნევენ ცხოვრებას ვერ შექმნიან ღირს-შესანიშნავ და სამუდამო რამეს და ინტექტიან დროთა უკუნეთში. დროებითი ჰმნიშვნელობა კი მათაც აქვთ...

არსებობს და არსებობდა მესამე რიგი პოეტებისა. მათი პოეზია მსუბუქია, ცინიკურ-ხუმარა, სააშიყო. სოფლ-მხედველობით ისინი ეპიკუროსები არიან; მიზნად დაუსახავთ უდარდელი ცხოვრება: დასდევნ დასაქერად «ცელქ ბედნიერებას», უშიშრად ლევენ «ოქროს დღეთა», ჭეშმარიტებას ეძებენ „ჭიქის ძირში“. მსუბუქი შეხედულება აქვთ თვის პოეზიაზე; მათი მუზა—«ვაკხანკაა», «საიღუმლო ბარათები»—„სუმბუქ ფრთიანნი“, ლექსები— „ჩალტე—ქარიანი“. ქეიფი მათი კანონია; ღვინო, სიყვარული და მეგობრობა—მათი მისწრაფების საგანი... ამ ჯურის პოეტი „პინდის უდარდელი სტუმარია“, „პარნასის ახალგაზდა მეჭაკვა“. მას სძულს შრომა, დარდი, მოწყენა, რადგანაც „ბედნიერ უსაქმობის მუზამ“ დააგვირგვინა...

პოეზიაში ამისთანა მიმართულების მამათ-მთავრად ითვლებიან ანაკრეონი, ოვიდიუსი. სლოები და დამფისები, პსინები და ამურები, ნიმფები და სატირები—აი საყვარელი სახეები ამ პოეზიისა.

მეთვრამეტე საუკუნეში პარიზის გარყვნილ და გაფუქსავატებულ ხალხში ეს პოეზია ბატონობდა, რადგანაც მახვილი, მოსწრებული, ნაზი და ნერვების მსუბუქათ ამშლელი იყო. საუკეთესო ფორმად ასეთის პოეზიისა ითვლებოდა: სონეტი, რონდო, მადრიგალი, ეპიგრამა, ტრიოლეტი, სტანსი და სხვა. სილიადე აზრ-იდეათა, სიმშვენიერე ფორმისა, ამამაღლებელი და გამსპეტაკებელი ძალა ამ პოეზიისთვის არ არსებობდა. მიწა და მიწიური, უდარდლობა და ლაღობა, ქეიფი და აშიყობა აი მისი სტიქიონი, სული დაგული.

ასეთს პოეტებს რუსთაველი ნამდვილ პოეტებად არა სთვლის, თუმცა დასძენს კი, რომ იმათაც შეუძლიანთ ხანდისხან გვაამოს, როდესაც მოახერხებენ „სთქვან ნათელად“. საზოგადოდ კი, შოთას აზრით, მათი „ლექსი კარვი არის სანადიმოდ, სამღერალად, სააშიყოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სართველად“. რუსთაველმა ამ რამდენიმე სიტყვით შესანიშნავის სიცხადით დაასურათ-ხატა მთელი არსება და მიმართულება იმ პოეზიისა, რომელსაც საბერძნეთში, სპარსეთში და საქართველოში მაშინ ბევრი მიმდევარი და მოტრფიალე ყავდა. ასეთი პოეტები, ცხადია, ვერ შექმნიან ვერაფერს ღვთაებრივს, მაღალს, „გულისგასაგმირელს“, სამუდამოს, უკვდავს და სასარგებლოს, რადგანაც თვითონ არ არიან „წმინდა“ არსებანი და „მუზები და აპალლონი არ უგზავნიან მათ სამღთო ძალას“ (პლატონის სიტყვები).

**იპ. ვართაგავა.**

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.